

ISSN 1512-1593

**გელათის მეცნიერებათა
აკადემიის ჟურნალი**



**JOURNAL
OF GELATI ACADEMY
OF SCIENCES**

3

2024

ჟურნალი გამოდის უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II-ის

კურთხევითა და ფინანსური ხელშეწყობით

გამოდის 2002 წლის
სექტემბრიდან

ჟურნალის დამაარსებელი **მაგალი თოდუა**

მთავარი რედაქტორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ეკა დადიანი

რედაქტორი
ბელა სურგულაძე

სწავლული მდივანი
თაბარ ლეკვიშვილი

ქუთაისი - 2024

ყდაზე - დოლისყანა , კლარჯეთი (IX-X სს.)

იმერი ბასილაძე

**სწავლების ორგანიზაცია და მეთოდика
იეზუიტთა ორდენის
საგანმანათლებლო დაწესებულებებში**

იეზუიტთა ორდენი დაარსდა 1534 წელს. მისი დამაარსებელია **დონ ინიგო ლოპეს დე რეკარდო ლოიოლა** (1491-1556). 1534 წლის 15 აგვისტოს ლოიოლამ და მისმა შვიდმა მიმდევარმა მონმარტის სამრეკლოს მიწისქვეშ დადეს ფიცი „სიცოცხლე ღმერთისთვის მიეძღვნათ“. ჩამოაყალიბეს იესოს საზოგადოება. 1543 წელს ლოიოლამ ობოლთათვის ორი დიდი თავშესაფარი დააარსა. დაიწყო ბრძოლა პროსტიტუციის წინააღმდეგ. დააარსა თავშესაფარი ზნეობრივად გარყვნილი გოგონებისათვის. ასეთმა საქველმოქმედო საქმიანობამ მას დიდი პოპულარობა მოუტანა რომში.

ორდენში გაერთიანებული იყო საერთო იდეალებისა და რწმენის ადამიანები და სრულიადაც არ მიიჩნეოდა საჭიროდ, რომ იგი სხვა ორგანიზაციების მსგავსად დაფუძნებოდა თანასწორობისა და მშობის პრინციპებს. ორდენს შემუშავებული ჰქონდა თავის კონსტიტუცია. ორდენს ხელმძღვანელობდა გენერალი. ვინც კარგად არ მოიქცეოდა, ან ბოლომდე არ დაიხარჯებოდა ორდენის საქმიანობაში, ყოველგვარი პროცედურების გარეშე ამოირიცხებოდა ორდენის სიიდან.

ორდენის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად განსაზღვრული იყო ახალგაზრდობის აღზრდა და განათლება საშუალო და

უმაღლეს სასწავლებლებში. მისი დევიზი გახდა: „გახდი ყველასათვის ყველაფერი, რათა მოიპოვო ყველაფერი“ (პავლე მოციქულის სიტყვები, I., კორინთელთა 9.22), რაც გულისხმობდა საზოგადოების ყველა ფენაში უპირატესობის მოპოვებას.

რომის ახალმა პაპმა იულიუს III-მ 1552 წლის ოქტომბერში გამოსცა ბულა, რომლითაც „იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის რექტორები, რომლებთანაც არსებობს იეზუიტთა კოლეგიები, არ დათანხმდებიან მისცენ მათი კოლეგიის მოსწავლეს ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი, მაშინ იეზუიტთა ორდენის გენერალი, ორდენის უფლებამოსილი პირები, კოლეგიის რექტორი სამი დოქტორის თანხმობით უფლებამოსილნი იყვნენ კოლეგიის მოსწავლისათვის მიენიჭებიათ დოქტორის ხარისხი, უნივერსიტეტის გვერდის ავლით; ხოლო ის პირები, ვინც ასეთი გზით მიიღებდა დოქტორის ხარისხს, ისეთივე უფლებებით სარგებლობდა, ვინც ხარისხი უნივერსიტეტისგან მიიღო“ (ხუბაშვილი, 2016: 76). ასეთმა პრივილეგიებმა განაპირობა ის, რომ გაიზარდა ორდენის სკოლების რიცხვი, გაფართოვდა ორდენის გეოგრაფიული არეალი: იგი გადაჭიმული იყო იაპონიის კუნძულებიდან ბრაზილიამდე. მათ შორის ისინი 18 უნივერსიტეტს ხელმძღვანელობდნენ. ეს გეოგრაფიული არეალი, ჩვენი აზრით, იმაზე მეტყველებს, რომ, კათოლიკური სარწმუნოების დანერგვასთან ერთად, ორდენის საქმიანობის მთავარ პრიორიტეტს განათლება და აღზრდა წარმოადგენდა.

იეზუიტებმა თავის საგანმანათლებლო სისტემაში გასულ საუკუნეებთან შედარებით, აღორძინების ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოიტანეს ახალი აღზრდის ნიშნები: ორგანიზებული ფიზიკური აღზრდა, კარგად მოწყობილი სკოლები, თვალსაჩინოების პრინციპის გამოყენება, ლმობიერი დისციპლინა, ზავშეებისადმი ალერსიანი მოპყრობა, უფასო სწავლება და ა. შ.

ორდენის ასეთი წარმატება, პროფ. ი. ხუბაშვილის აზრით, განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა: 1. იდეა, რომლის განხორციელებისათვის მსხვერპლის გაღება და ტანჯვა ჯილდოდ მიაჩნდათ; 2. ორდენის განკარგულებაში იყო

ორგანიზაცია, რომელიც დასახული მიზნის სწრაფად მიღწევის საშუალებას უზრუნველყოფდა; 3. პატივისცემა და გავლენა და 4. სიმდიდრე, რაც საშუალებას იძლეოდა გაბედული მოქმედებისა (ხუბაშვილი 2016: 80). ორდენს ჰყავდა მდიდარი მფარველები, რომლებიც ასაჩუქრებდნენ ორდენს მიწებით. ისინი მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას; ჰქონდათ შაქრის ქარხნები, ჩაის პლანტაციები, ვერცხლის საბადოები; აწარმოებდნენ ცვილის სანთელს, ხალიჩებს, პლედებს. ჰქონდათ აღრიცხვის წიგნები და შესანიშნავად იცოდნენ საბუღალტრო საქმე.

ორდენი მხოლოდ ახალგაზრდობის განათლებით არ იყო დაკავებული, ის ასევე მათი აღზრდითაც იყო დაინტერესებული. გარდა კოლეგიებისა, ორდენი ფლობდა ბევრ პანსიონს (წარჩინებული ოჯახებისთვის), ინტერნატს (სადაც ღარიბები სწავლობდნენ), ასევე სემინარიებს, სადაც მღვდლებს ზრდიდნენ. 1640 წლისათვის იეზუიტ მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 150 ათას აღწევდა (ლოსაბერიძე 2018: 18).

იგნაციუს ლოიოლამ დაწერა სწავლების გეგმა „იეზუიტური ორდენის კონსტიტუცია (Constitutionn of the Society of Jesuit)“. 1547-1550 წლებში გამოქვეყნდა მისი პირველი ვერსია, რომელიც ოფიციალურად იქნა მიღებული მთელი საზოგადოების მიერ. მკვლევარ ე. ლოსაბერიძის აზრით, „პირველი სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა ჰუმანისტიკანაათლებლებისადაპარიზისუნივერსიტეტის გამოცდილებას. პარიზის უნივერსიტეტი აღმა მატერი იყო იგნაციუსისათვის, ვინაიდან იქ სწავლობდა თავად. კონსტიტუციის პრინციპები შეიცავს ისეთი კლასიკოსების ნააზრევს, როგორიცაა წმ. თომას თეოლოგია, არისტოტელეს, კვინტილიანეს, ერაზმუს როტერდამელისა და პარიზის უნივერსიტეტის პრაქტიკუ გამოცდილება. ლოიოლამ და მისმა მემკვიდრეებმა მოახდინეს კლასიკოსთა მთავარი იდეების გადატანა და განვითარება, შექმნეს უნივერსალური პედაგოგიური სისტემა, რომელიც ინერგებოდა იეზუიტურ კოლეჯებში“ (ლოსაბერიძე 2018: 18).

იეზუიტების მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ის, რომ მათ მისცეს თანმიმდევრული, იერარქიული, სტრუქტურული და მეთოდოლოგიური სახე განათლებას. საზოგადოებამ

მიზნად დაისახა საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება, შეკრიბეს სხვადასხვა დოკუმენტები: De Studiis Societas, The Ordo studio, Suma Sapienti. 1581 წელს კლაუდიუს აქვავივამ გამოიკვლია და გააერთიანა ყველა ეს დოკუმენტი ერთ სახელმძღვანელოში. 1584 წელს შეიქმნა კომიტეტი ექვსი პიროვნებისაგან, რომლებიც სხვადასხვა პროვინციიდან მოიწვიეს და დაიწყო კონსულტაციები. 1599 წელს 15-წლიანი განხილვებისა და ექსპერიმენტების შემდეგ, გამოჩნდა საბოლოო სასწავლო გეგმა, რომელსაც ეწოდა The Jezuit Ratio Studiorum – „იეზუიტური საზოგადოების სწავლების მეთოდები და სისტემა“. გამოცემიდან 15 წლის შემდეგ იეზუიტურ სკოლებში სავალდებულო გახდა „Ratio Studiorum“ (სასკოლო კანონის) გამოყენება-მოტივაცია (ლოსაბერიძე 2018:18). იგი გენერალ აქვავივას მიერ იქნა დამუშავებული.

იმ ეპოქისათვის კარგი სასწავლო მოწყობილობა, ნათელი ტევადი კლასები, ინტერნატები, მოხერხებული განაწილება მეცადინეობისა და დასვენებისა, ხშირი არდადეგები, დღესასწაულები, დასვენების დღეები, უფასო სწავლება, სწავლების ორგანიზაციის მეთოდოლოგია, ლოიოლას პედაგოგიური რეგლამენტები. აქვავივას სასკოლო კანონი და იეზუიტთა პროფესიონალიზმი იეზუიტთა სააღმზრდელო სისტემაში წარმოადგენდა კოლეგიუმებში ბავშვების მიზიდვის საშუალებას

1410 წელს აღმოჩენილ იქნა რომაელი განმანათლებლის მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს ნაშრომები. მკვლევარ ჯ. რ. კოხის თვალსაზრისით, XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში ბევრი სასწავლო პროგრამისათვის გახდა კვინტილიანეს პრინციპები პრიორიტეტი. ის ხაზგასმით აღნიშნავს კვინტილიანეს გავლენას რენესანსის განათლებასა და პარიზის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკაზე. მისი აზრით, შესაბამისად ის გავლენას მოახდენდა იგნაციუს ლოიოლაზე, ვინაიდან მან თავისი სისტემის საფუძვლად სწორედ რენესანსის განათლებისა და პარიზის უნივერსიტეტის გამოცდილება გამოიყენა (ლოსაბერიძე 2018: 19). კოხის აზრს იზიარებს ე. ლოსაბერიძე, რომელიც ფიქრობს, რომ იეზუიტებისათვის კვინტილიანეს პრინციპები გახდა პრიორიტეტი და დიდი

გავლენა მოახდინა კონსტიტუციის ჩამოყალიბებაში, როგორც სწავლების მეთოდოლოგიურ, ისე ორგანიზაციულ საკითხებში. ლოიოლას გარდაცვალების შემდეგ მისი იდეების გამგრძელებელი და განმახორციელებელი გახდა მამა კლაუდიოს აქვავივა (1581-1615). როგორც აღვნიშნეთ, სწორედ მის მიერ იქნა მომზადებული ოფიციალური გეგმა „THE JESUIT RATIO STUDIORUM“. აღნიშნული დოკუმენტი იყო ფუნდამენტური იეზუიტური საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურულ ჩამოყალიბებაში და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო განათლების ისტორიაში. 1970 წელს გამოქვეყნდა ფარელის მიერ რედაქტირებული და ნათარგმნი „The Jesuit Ratio Studiorum 1599“. ფარელი გამოყოფს Ratio Studiorum -ის ოთხ პრინციპს (ლოსაბერიძე 2018:19):

- ადმინისტრაციული ფუნქციების განსაზღვრა ოფიციალურად პროვინციებისთვის, რექტორისა და პრეფექტის უფლება-მოვალეობანი სწავლებაში;
- სწავლების დაგეგმვა კურიკულუმით თეოლოგიაში, ფილოსოფიასა და ჰუმანიტარულ მიმართულებებში;
- მეთოდები – ოთხივე პრინციპი შეიცავს მეთოდებს, სავარჯიშოებს და გაკვეთილებს საკლასო ოთახებში;
- დისციპლინის, სტუდენტების ქცევის ნორმები და რეგულაციები ორდენში.

კოლეგიუმებში ასწავლიდნენ „შვიდ თავისუფალ ხელოვნებას“ (გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას და მუსიკის თეორიას) და ღვთისმეტყველებას. ისწავლებოდა ორივე ძველი ენა (ლათინური და ბერძნული). დიდი ყურადღება ეთმობოდა მჭერმეტყველების, როგორც რელიგიის პროპაგანდის საშუალების გამომუშავებას. რიტორიკისა და გრამატიკის კურსში შეიტანეს ცნობები ლიტერატურიდან, ისტორიიდან და გეოგრაფიიდან. მთავარი ყურადღება მაინც ეთმობოდა რელიგიას და ლათინურს.

სასწავლო გეგმა, განსხვავებით უნივერსიტეტისა და პროფესიული სწავლებისა, მოიცავს Studia inferior, დაბალ კლასებსა და ხელოვნების კურსს, ან ფილოსოფიას (უფროს კლასებს). უმცროსი განყოფილება შედგებოდა 5 კლასისგან. მასთან მე-5 კლასი იყო ორწლიანი (სულ ექვსი წელი),

რომელთა განსაზღვრული მიზანია წინსვლა და პროგრესი კლასიკურ სწავლებაში. უმცროსი კლასის მოსწავლეები უნაკლოდ უნდა დაუფლებოდნენ ლათინურ ენას, არა თუ კლასებში, არამედ კლასგარეშეც კი. მოსწავლეები მოვალენი იყვნენ ელაპარაკათ მხოლოდ ლათინურ ენაზე (მედინსკი 1940: 106). სასწავლო დარგში ხელმძღვანელს ჰქონდა მითითება– დაენაწევრებინა ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკის ელემენტები ისე, რომ თითოეულ მოსწავლეს შეძლებოდა დამაკმაყოფილებლად გაერთვა თავი მათთვის მიცემული დავალებისათვის, რაც სწავლებაში ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინების პრინციპს ნიშნავს.

უფროსი განყოფილება იყო სამწლიანი. ისინი იძლეოდა იმ დონის მომზადებას, რასაც მაშინდელი უნივერსიტეტების „სამსახიობო“ ფაკულტეტები. აქ უმთავრესი ყურადღება ექცეოდა ფილოსოფიას, ეთიკას (შეთავსებულს რელიგიასთან) და ღვთისმეტყველებას.

„კლასები დაგეგმილი იყო შემდეგნაირად:

პირველი სამი გრამატიკული კლასი

1. გრამატიკის დაბალი საფეხური, ლათინურისა და ბერძნულის ელემენტარული პრინციპები. კითხვის წესების მარტივი დახარისხება და კატეხიზმო;

2. შუა საფეხურის გრამატიკა, სადაც მიზანია ცოდნა, მაგრამ არა მთელი გრამატიკისა. სელექციური კითხვა ციცერონისა, ცეზარის კომენტარებისა და ოვიდის შედარებით მარტივი პოემებისა და კატეხიზმო;

3. ზედა საფეხურის გრამატიკისაა, რომელიც სრულდება ლათინურისა და ბერძნულის გრამატიკის ყველა ელემენტარული პრინციპით. მთავრდებოდა ციცერონის, ოვიდიუსისა და კატულას ნაშრომების გაცნობის საფუძველზე. ისწავლებოდა აგრეთვე ვერგილიუსი, ეზოპე, იოანე ოქროპირი“ (ლოსაბერიძე 2018: 19).

მეორე ფილოლოგიურ კლასში:

ჰუმანიტარების კლასი ემზადება რიტორიკისთვის, ყოველდღიურად სწავლობენ ციცერონს, ასევე, ისტორიკოსებს: ცეზარი, სალუსტიუსი, კვინტუს კერციუსი, ვერგილიუსი, ჰორაციუსი, სოკრატე, პლუტარქეს და სხვები. სწავლობდნენ აგრეთვე კლასიკურ ენებსა და რიტორიკის წესებს, ბერძნულ სინტაქსს (ხუბაშვილი, 2016: 86);

მესამე რიტორიკულ კლასში:

რიტორიკა (ჰუმანიტარული სწავლება სრულდება) როგორც ფილოსოფიის შესავალი (სრულყოფილი ცოდნის მიღება შესაძლებელია ორატორების, ისტორიკოსებისა და პოეტების მეშვეობით. ციცერონის, არისტოტელეს, დემოსთენეს, პლატონის, თუკიდიდესა და ჰომეროსის მიხედვით ასწავლიდნენ მეტყველების კულტურას, ორატორულ ხელოვნებას, პოეზიას, ისტორიას, რიტორიკის კანონებს, ქრისტიანულ რელიგიას (ლოსაბერიძე 2018: 19).

ლათინური იყო პრიორიტეტი სხვა საგნებთან შედარებით და მშობლიურ ენას ექცეოდა ნაკლები ყურადღება. თუმცა არ შეიძლება ვთქვათ, რომ სრულიად უარყოფილი იყო მისი სწავლება.

პირველ უმაღლეს ფილოსოფიურ კლასში :

- სწავლის კურსი მოიცავდა სამ წელს. „მასში ისწავლებოდა არისტოტელეს ფილოსოფია, ლოგიკა, ფიზიკა, მეტაფიზიკა, გეოგრაფია და მათემატიკა.

მეორე უმაღლეს ღვთისმეტყველების კლასში:

- ოთხი წლის მანძილზე ისწავლებოდა წმინდა წერილები ძველბერძნული ენა, სქოლასტიკური თეოლოგია, კაზუისტიკა, ბერძნულ, ქალდეურ, სირიულ, არაბულ და ინდურ ენებს;

- ყველაზე ნიჭიერი მოსწავლეები კიდევ ორი წლის დამატებით სწავლობდნენ ღვთისმეტყველებას და გენერლის ნებართვით შეეძლოთ ემუშავათ მასწავლებლად ან მიეღოთ დოქტორის ხარისხი;

- უმაღლეს კურსებზე ყველა ლექცია ლათინურად იკითხებოდა“ (ხუბაშვილი 2016: 86).

მკვლევარი ე. ლოსაბერიძე აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით აღსანიშნავია ოფიციალური სასწავლო გეგმის „THE JESUIT RATIO STUDIORUM“ 39-ე თავი – „Rules FOR THE Academies of Rhetoricians and Humanities Students“, სადაც მოცემულია მეთოდები გაკვეთილისა და სავარჯიშოებისათვის საკლასო ოთახში. რათიო სტუდიოროუმი მაქსიმალურად ტვირთავს სტუდენტს აქტიური მუშაობით საკლასო ოთახში, ყოველი აქტივობა გამოირჩევა განსაკუთრებული სულისკვეთებითა და მიზნით“ (ლოსაბერიძე, 2018: 20). „Ratio Studiorum“

არის პრაქტიკული ხასიათის დოკუმენტი სკოლებში სახელმძღვანელოდ. სახელმძღვანელოში განხილულია საგანმანათლებლო მიზნები, სკოლის განრიგი, სილაბუსი, რექტორის, პრეფექტისა და მასწავლებლის მოქმედების მანერა, სასწავლო საგნები, სწავლის იერარქია დაბალ და მაღალ სკოლებად, მეთოდოლოგია, მასწავლებლის გადამზადება, სასწავლო წელი, დასვენება.

სასკოლო წესდება ზუსტად გეგმავდა, თუ „რა სასწავლო საგნები უნდა ყოფილიყო გავლილი სკოლებში ამა თუ იმ თვეში, კვირაში. განსაზღვრავდა ცხრილს კვირის დღეების მიხედვით. დაწვრილებითი მეთოდური დამუშავებით იყო გაწერილი ყოველი გაკვეთილის განრიგი. მეთოდურ მითითებებში დაწვრილებით იყო გათვალისწინებული მასწავლებლის ინტონაცია, მიმიკა, კლასების განათება, თუ როგორ უნდა გადაეცა მასწავლებელს სასწავლო მასალა. ემოციურ ელემენტს ეთმობოდა სწავლებაში დიდი ყურადღება“ (მედიנסკი, 1940: 107).

ყველა კლასისათვის დადგენილი იყო კურიკულუმი, რომელიც განსაზღვრავდა შესასწავლ საკითხებს შესაბამის საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისათვის.

ლექცია განისაზღვრა 1 საათით, ხოლო თუ ორჯერ ჩატარდებოდა – დილით და საღამოს, 45 წუთით. სწავლების მეთოდი გულისხმობდა მასწავლებლის მეთვალყურეობას, მოსწავლე თვად სწავლობდა გამოცდილებით და სწავლის აგებით.

თეოლოგიის კურსის სტუდენტებისათვის ლექციის დრო განსაზღვრული იყო ორმოცდახუთი წუთით (ლოსაბერიძე 2018: 21). თუ კურსი იყოფოდა და ორი ლექტორი ასწავლიდა, ხოლო თუ ერთი კითხულობდა, მაშინ ერთი საათი. შესვენება ყოველი ლექციის შემდეგ ხორციელდებოდა. რათიო სტუდიორუმში განსაზღვრული იყო სასწავლო დროები სეზონების მიხედვით. „პროვინციებში სწავლება წლის ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საათზე იწყებოდა და მთავრდებოდა. სასწავლო კალენდარით მეცადინეობა და დასვენებები მკაცრად უნდა დაცულიყო. დასვენებებს, ამთხვევდნენ რელიგიურ დღესასწაულებსაც“ (ლოსაბერიძე 2018: 21). რათიო სტუდიორუმი „ნორმა პროვინციებისათვის / Rules 10

of The Provincial“ აწესრიგებდა საკლასო ოთახებს ავეჯით და სხვა საჭირო ინსტრუმენტებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სასწავლებლის ბიბლიოთეკების საჭირო სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფას.

კოლეგიის ხელმძღვანელს – რექტორს დახმარებას უწევდა მოადგილე სასწავლო დარგში და დისციპლინის საკითხებში. მას ევალებოდა კლასების მეთვალყურეობა. ის უნდა გაჰყოლოდა მისთვის შექმნილ კანონებს და რეგულარული კონსულტაციები გაემართა საბჭოსთან. პროვინციის ხელმძღვანელი სტუმრობდა კოლეჯს სულ მცირე წელიწადში ერთხელ. მასწავლებლები მას ხვდებოდნენ პირადად, ინდივიდუალურად და მათ უნდა განეხილათ ის პრობლემები თუ სირთულეები, რაც ჰქონდათ რექტორთან. მოადგილე სასწავლო დარგში პასუხისმგებელი იყო სწავლების ხარისხზე. ის ესწრებოდა გაკვეთილს ორ კვირაში ერთხელ და მასწავლებლებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ მასთან კონსულტაციების გამართვა. იგივე ევალებოდა მოადგილესაც დისციპლინის დარგში (ლოსაბერიძე 2018: 21). თითოეულ კლასს ჰყავდა დამრიგებელი. იგი პასუხისმგებელი იყო კლასში დისციპლინასა და აკადემიურ მოსწრებაზე. პროფესორები ვალდებული იყვნენ მოწაფისადმი, განუკითხავად მათი ქონებრივი მდგომარეობისა და წარმომოებისა, ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდათ.

პროფესორებს წესდებით ევალებოდათ „მოსწავლეების სულში უფლის სიყვარულის ჩანერგვა, ესწავლებინათ მათთვის ყოველდღე წირვაზე სიარული, ქადაგების მოსმენა კვირაობით და დღესასწაულებზე საკუთარ თავში ჩაღრმავება. მოსწავლეებს ეკრძალებოდათ ორ საათზე მეტხანს დასვენებების გარეშე მეცადინეობა. წესდება აგრეთვე კრძალავდა მეცადინეობას იმ დროს, რომელიც განკუთვნილი იყო დასასვენებლად და ძილისთვის. „იმუშავე ზომიერად, ძალების წონასწორობის დაცვით. ამით ადამიანი უფრო დიდხანს შეძლებს მუშაობას უფლის სადიდებლად“-ასწავლიდა ლოიოლა“ (ხუბაშვილი 2016: 87-88).

კლასიდან კლასში გადასვლა ხდებოდა გამოცდების გზით. სწავლა ყოველწლიურად გრძელდებოდა 190 დღის

განმავლობაში. როგორც პროფ. ი. ხუბაშვილი წერს: „არდადეგებზე კოლეგიუმის აღსაზრდელები ისვენებდნენ ორდენის აგარაკებზე, სადაც ვარჯიშობდნენ ფარიკაობაში, ცხენზე ჯდომაში, მუსიკაში, ცურვაში, ციგით დაციგურებით სრიალში, ბილიარდის თამაშში. ბანქოთი და კამათლით თამაში სასტიკად იკრძალებოდა“ (ხუბაშვილი 2016: 87).

თეოლოგიის ოთაწლიანი სწავლების შემდეგ „პროფესიის“ მინიჭების პროცესი ასეთი იყო: თითოეული სტუდენტი 12 გამოცდას აბარებდა სპეციალური ექსპერტების წინაშე. ექსპერტიზა შედგებოდა გამოცდილი ექსპერტებისაგან, რომლებიც საიდუმლოდ აძლევდნენ ხმას სტუდენტს.

სკოლებში ყველა მოსწავლეს ჰყავდა „თავისი „aemulus“, რომელსაც ევალეზოდა მასზე დაკვირვება, შენიშვნების მიცემა და თუ საჭირო იყო, დასმენა. ყველა კლასში იყო პრეტორი ან ცენზორი, რომელსაც უფროსისთვის უნდა ეცნობინებინა ყველაფერი, რაც კლასში ხდებოდა. მოსწავლეებს უფლება ჰქონდათ დაესმინა მასწავლებელი. ასეთი სისტემა XVII-XVIII საუკუნეებიდან თითქმის აღარ არსებობდა, მოსწავლეები მასწავლებლებს აღარ უჩიოდნენ“ (ხუბაშვილი 2016: 85).

დისციპლინა არ იყო მკაცრი იეზუიტურ სკოლაში, ფიზიკურ სასჯელს არ იყენებდნენ მასწავლებლები. ამის გამოყენება შეეძლო მხოლოდ პრეფექტს დისციპლინის დარგში. შედარებით სუსტმა სიმკაცრემ განაპირობა და გავლენა მოახდინა გაკვეთილის დისციპლინის ფორმირებაზე. მნიშვნელოვანად მიაჩნდათ მოსწავლეების შესწავლა არა ზედაპირულად, არამედ საფუძვლიანად. მნიშვნელოვანი იყო დისციპლინა, ზედამხედველობა უნდა ყოფილიყო მუდმივი, მაგრამ ამავე დროს ფრთხილი. ფიზიკური სასჯელი კი მიუღებლად ითვლებოდა. მთლიანად არ უარყოფდნენ მაგრამ ძალზედ იშვიათად მიმართავდნენ სასჯელის ამ ფორმას. ე. ლოსაბერიძის აღნიშნავს, რომ კათოლიკური განათლების წარმატების გასაღები იყო ქრისტეს მსგავსად სიყვარული და არა შიში. იეზუიტები დანაშაულის პრევენციას ანიჭებდნენ მეტ მნიშვნელობას, ვიდრე შემდეგ მისაღებ ზომებს. ზოგადად, ისინი ცდილობდნენ მოსწავლეებზე გაემარჯვათ

სიყვარულით და არა შიშით. მათი მიზანი იყო ამ გზით მოეხდინათ მოსწავლეთა მოტივაცია“ (ლოსაბერიძე 2018: 23).

იეზუიტთა სწავლების მეთოდის ძირითადი მახასიათებლებია:

- praelectio, რაც ნიშნავდა დაბალ კლასებში ამა თუ იმ ნაწყვეტის ახსნას, განმარტებების მიცემას, მაღალ კლასებში კი გამოიყენებოდა ლექცია. ეს იყო პროცედურა, რომელსაც ყველა მოსწავლელი გადიოდა;

- დისკუსიები, განხილვა, შეჯიბრი, მეტოქეობა - ყველაფერი ეს გამოყენებული იყო, როგორც სტიმულისა და ინტერესის განმავითარებელი საშუალება მოსწავლეთა პატივმოყვარეობის გაღვივებისათვის;

- მეხსიერების ძალების გულმოდგინე დამუშავება;

- მეთოდური რელიგიური ვარჯიში.

იეზუიტი მამები თვლიდნენ, რომ ბავშვების მეთოდური რელიგიური ვარჯიშები, რეგულარული ლოცვები, აღსარება, დასწრება მესაზე და საკვირაო მსახურება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე რელიგიის სწავლა. სკოლაში ყველა მოსწავლეს ჰყავდა საგანგებო კოკურენტი. მათ შორის მეცნიერულ საკითხებზე მიმდინარეობდა დისპუტი. „გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ ცალკეულ კლასებს შორის იმართებოდა შეჯიბრი. ყოველ თვეს მოსწავლეები წერდნენ საპრემიო თხზულებას და ცხადდებოდა გამარჯვებული“ (ხუბაშვილი 2016: 84).

მოსწავლეთა პატივმოყვარეობის გასაღვივებლად იეზუიტთა სკოლებში ეწყობოდა სასკოლო ცერემონიები, დისპუტები, დეკლამაციები, დრამატული წარმოდგენები.

კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იეზუიტური სისტემისა არის საოცარი ერთიანობა და ორგანიზება. ეს არ იყო აღებული არც ერთი სხვა სისტემიდან, ეს იყო კონსტიტუციის ჩარჩოებში და Ratio Studiorum-ის ფარგლებში.

იეზუიტების საგანმანათლებლო მიზნები იყო სხეულისა და სულის ძალის განვითარება. სხეული, გრძნობები, გონება, წარმოსახვა, ინტელექტი და სურვილი ფორმირდება პიროვნების სახით. „სტუდენტის ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება არის სკოლის უმთავრესი

მახასიათებელი. თუმცა ეს განვითარება შესაძლოა გახდეს საზიფათო თუ არ გავაძლიერებთ მას პიროვნების ხასიათის ფორმირებით და სურვილის გაძლიერებით. ჩვენ ვმართავთ ინტელექტს, ვწვრთნით სურვილს და ვუყალიბებთ ხასიათს. ეს ის ძირითადი პრინციპებია, რომელითაც ყალიბდება პიროვნება“ (ლოსაბერიძე 2018: 23).

იეზუიტთა კოლეგიუმებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას. იეზუიტებმა გაითვალისწინეს დროის მოთხოვნა, რადგან აღორძინების ეპოქამ წინ სწორედ მომავალი თაობის ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდა წამოწია წინა პლანზე. იეზუიტთა კოლეგიუმებში განსაკუთრებული ყურადღება „ექცეოდა ცხენოსნობას და თამაშობას, ფიზიკური ამტანობის გამომუშავებას. ბავშვებს კვებავდნენ განსაკუთრებულად. არ ღლიდნენ მოსწავლეებს. აკრძალული იყო ხუთ საათზე მეტხანს მათი ჯდომა სასკოლო მერხებზე. იეზუიტი მამები ზრუნავდნენ იმაზე, რომ ფიზიკური ვარჯიშები სუფთა ჰაერზე ჰქონოდათ და მოსწავლეების სხეული სავარჯიშო თამაშებით გაეკაჟებინათ (ხუბაშვილი 2016 :84).

ამრიგად, ღია ცისქვეშ სპორტული აქტივობები დიდ როლს ასრულებდა მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებაში, ეს ხელს უწყობდა მოსწავლეებში თვითკონტროლის, სიმტკიცის, თვითდარწმუნების, სუბორდინაციული და ინდივიდუალური იმპულსების განვითარებას.

იეზუიტური განათლების სისტემა იყენებდა დამატებით აქტივობებს სწავლაში. თამაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იეზუიტურ სისტემაში, რაც ხელს უწყობდა რეალურ ცხოვრებასთან სიახლოვეს.

იეზუიტებს მასწავლებელი მიაჩნდა საგანმანათლებლო პროცესის ცენტრად. ის იყო მიმართულების მიმცემი, ის შთაბერავდა სულს სკოლას. მასწავლებელი არის პიროვნება თიხით ხელში, რომელიც გამუდმებით იღებდა მონაწილეობას მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ამიტომაც თვლიდნენ, რომ ცუდმა მასწავლებელმა, რომელსაც აკლდა ცოდნა და დისციპლინა, შესაძლოა უბედურებამდე მიიყვანოს მოსწავლე, ჩააქროს სწავლის სურვილი. ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე მართებდათ იეზუიტ მასწავლებლებს. მოსაწყენი,

მოუმზადებელი მასწავლებელი სკოლისათვის საზიანოდ მიაჩნდათ (ლოსაბერიძე 2018: 22).

იეზუიტური განათლების მეთოდოლოგია მიმართული იყო იქითკენ, რომ გაეწვრთნა ადამიანი ფიქრისთვის, აზროვნებისთვის, რათა მას შეძლებოდა მოვლენების გაანალიზება, რაც ეხმარებოდა რეალობის გააზრებაში და არ გაეცხო თავი ფაქტებით. იეზუიტური სასწავლო გეგმის პრინციპით სწავლა უნდა ყოფილიყო ინტენსიური, უპირატესობას ანიჭებდნენ საგნების მცირე რაოდენობის სიღრმისეულად შესწავლას, ვიდრე ზედაპირულად შეესწავლათ ბევრი საგანი. „იეზუიტები თვლიდნენ, რომ ლიტერატურა, ენა და ისტორია ყველაზე მნიშვნელოვანი რამ იყო უმაღლესი სკოლის დონისთვის. ძირითადი ყურადღება ამ საგნებზე იყო გადატანილი, თუმცა ეს არ გულისხმობდა სხვა საგნების აბსოლუტურ გამორიცხვას. ისწავლებოდა უდიდესი კლასიკოსები მოსწავლის სულის ჩამოყალიბების მიზნით. იეზუიტების სასწავლო გეგმა თანმიმდევრული იყო კლასიკოსების, ფილოსოფიისა და თეოლოგიის შესასწავლად“ (ლოსაბერიძე 2018: 23).

იეზუიტები იყენებდნენ ლათინური ენის სწავლებისას „პირდაპირ მეთოდს“, რომელიც მიმართულია სხვა ენაზე საუბრის თავიდან აცილებისაკენ – ე.წ. მუნჯური მეთოდი. ეს მეთოდი უკავშირდება ენის სწავლის ბუნებრივ მეთოდს, რომელსაც ასევე წარმატებით იყენებდნენ სხვა კოლექტივშიც. „ისინი თავიანთ სწავლების მეთოდოლოგიას ემახდნენ „ცოდნის ფორმულას“. ის შეიცავს ორ ეტაპს: **პირველი** ეს არის თვითაქტივობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მივცეთ მოსწავლეებს საშუალება იფიქრონ. სტუდენტთა ნაწილისათვის აქტიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში იწვევს კრიტიკას. **მეორე** – მასწავლებლები არ არიან მხოლოდ იმისათვის, რომ მიაწოდონ ინფორმაცია, ისაუბრონ. მათ უნდა აიძულონ მოსწავლეები იფიქრონ, და დაეხმარონ მათ ისე, რომ დამოუკიდებლად შეძლონ აზროვნება“ (იქვე).

მათი აზრით, საგნის ცოდნა მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კარგად დაგეგმილ გაკვეთილებს. გაკვეთილისეუნდა დაეგეგმამასწავლებელს, რომ ის უნდა ყოფილიყო საინტერესო და არა მოსაწყენი და

მონოტონური. ამიტომაც იეზუიტები სწავლებას უწოდებენ „ინტერესის ხელოვნებას“ (ლოსაბერიძე 2018: 23). რთული საგნის სწავლების პროცესში იეზუიტი მასწავლებლები იყენებდნენ გაგებისა და ცოდნის პროგრესირების განცალკევებას.

მკვლევარმა ე. ლოსაბერიძემ შეისწავლა და გააანალიზა რა უცხოური ლიტერატურა იეზუიტთა ორდენის საგანმანათლებლო საქმიანობის შეახებ, პარალელს ავლებს თანამედროვე პედაგოგიკასა და THE RATIO STUDIORUM-ს შორის და აღნიშნავს, რომ „ისეთი ცნობილი ფსიქოლოგები და განათლების მკვლევრები, როგორებიცაა ვიგოცკი, პიაჟე, დიუი, და სხვ., მიუთითებენ მოსწავლის აქტიურ და თვითმართულ, გამოცდილებით სწავლების მნიშვნელობაზე საკლასო ოთახში, ჯგუფურ აქტივობებზე, იდეების გაცვლაზე, დასკვნის გამოტანაზე ფიქრის მეშვეობით. ისინი ჯერ კიდევ ოთხი საუკუნის წინ გამოყენებულ იქნა აქტიურად იეზუიტების მიერ თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაში“ (ლოსაბერიძე 2018: 23).

იეზუიტური სისტემის მნიშვნელოვან მახასიათებლებად გამოყოფილია:

- ხანგრძლივად და დიდი სიფრთხილით ხდებოდა მასწავლებელთა წვრთნა. კვალიფიკაციის მიხედვით პირველ ადგილას იდგა პროფესიული განათლება, სწავლის დასრულების შემდეგ მასწავლებელი გადიოდა რელიგიის ორწლიან კურსს. უკვე მას კვალიფიკაცია ჰქონდა, რომ შესულიყო გაკვეთილზე და ესწავლებინა გრამატიკა და ლიტერატურა. ეს პერიოდი – „მმართველობა“ გრძელდებოდა დაახლოებით ხუთი წელი;

- იეზუიტთა სკოლა იყო უფასო. ღარიბი ოჯახის შვილებისათვის მათი კარი ღია იყო;

- განათლების ძირითადი მიზანი იყო მოემზადებინათ ახალგაზრდები პროფესიულად“ (ლოსაბერიძე 2018: 22).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ იეზუიტები არიან ავტორები სტრუქტურულად, მეთოდოლოგიურად, შინაარსობრივად გამართული სწავლებისა, რომელიც მიმართული იყო სტუდენტის გონების, სულისა და ფიზიკური განვითარებისაკენ.

მკვლევართა აზრით, პარიზის უნივერსიტეტის პრაქტიკულ გამოცდილებას დიდი ადგილი უკავია იეზუიტურ განათლებაში. სწორედ აქედან აიღეს ლოიოლამ და მისმა მიმდევრებმა **კლასის ფენომენი**, რომელიც დღეს ასე ახლობელი და ნაცნობია ჩვენთვის. „პირველად კლასი მოხსენიებულია პარიზის უნივერსიტეტის ნარატიულ წყაროებში 1539 წელს (ლოსაბერიძე 2018: 23). იეზუიტებმა კი ის გარდაქმნეს და მისცეს მას საფეხურებრივი დატვირთვა, რომ ის ხაზს უსვამდა სწავლისა და აკადემიური თვალსაზრისით მოსწავლეთა განსხვავებას.

ამრიგად, იეზუიტებმა შექმნეს მართლაც უნიკალური სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილი იყო კოლეგიების მართვა, სწავლების მეთოდები, შინაარსი, მიზნები. სასწავლო გეგმა აყალიბებდა მასწავლებლის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფდა მის პროფესიულ ცოდნას. შექმნეს საკლასო-საგაკვეთილო სისტემა და ბევრი ისეთი მეთოდი, რომლებმაც განათლების თანამედროვე სისტემას დაუდო საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა

ბასილაძე... 2021: ბასილაძე ი., მოწენიძე ქ., ჭოხონელიძე ნ., განათლების, სწავლა/სწავლებისა და აღზრდის საკითხები, ნაწილი (შესავალი თანამედროვე პედაგოგიკურ აზროვნებაში). ქუთაისი, 2021.

ლოსაბერიძე 2018: ლოსაბერიძე ე., გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები. განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2018.

მედინსკი 1940: მედინსკი კ., პედაგოგიკის ისტორია. თბილისი, 1940.

პავლე მოციქულის სიტყვები. I., კორინთელთა 9.22.

ხუბაშვილი 2016: ხუბაშვილი ი., იეზუიტების ორდენი. თბილისი, 2016.

Imeri Basiladze

**TEACHING ORGANIZATION AND
METHODOLOGY OF THE JESUIT ORDER
IN EDUCATIONAL INSTITUTIONS**

Summary

The Jesuit order created a higher education system that is, in our opinion, a precursor to the modern education system. The Jesuit educational system is significant because they greatly contributed to the establishment of school, classroom, and lesson teaching. They transformed teaching into a structured lesson format, incorporating comprehensive pedagogical and methodological aspects. The Jesuits Order developed a unique curriculum, effective school management, and sophisticated pedagogical methods that remain relevant and important even today.

დავით იოზიძე

**მხარეთმცოდნეობის (ნაპოლეონ) ურთიერთმიმართება
კათოლიკე ეპისკოპოსთან
ქველდგომის და ქართულ მხარეთმცოდნეობაში
(ნაწილი პირველი)**

მხატვრული თარგმანი ფილოლოგიურ შრომასთან შერწყმული შემოქმედებაა. თარგმანი ისეთი რთული ფენომენია, რომ თარგმნის თეორიამ შეიძლება მოიცვას ისტორიული, ლიტერატურული, ენათმეცნიერული, სტილისტიკური, ფსიქოლოგიური ან ფილოსოფიური ასპექტები. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს აზრობრივი მოცულობა, ეროვნული კოლორიტი, პროზის რიტმი და სხვა (ფანჯიკიძე 1988: 3).

წმინდა წერილის თარგმანი სპეციფიკური ფენომენია. მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში. ძირითადად გამოკვეთილია წმინდა წერილის თარგმნის ორი მეთოდი: 1) კლება-მატების მეთოდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ათონური რედაქციის თარგმანებში, კერძოდ, ექვთიმე ათონელისა და გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებულ ტექსტებში. აღნიშნულ თარგმანებში მინიმალური სათარგმნი ერთეულია წინადადება, მეტი აქცენტი კეთდება სემანტიკაზე; 2) თარგმნის ელინოფილური მეთოდი, რომელიც ჩამოყალიბდა და განვითარდა გელათის მწიგნობრულ სკოლაში. აქ მინიმალური სათარგმნი ერთეულია სიტყვა; თითოეული ლექსემა ადეკვატურად ასახავს ორიგინალს,

აქცენტი კეთდება ფორმაზე, თუნდაც სემანტიკის დაჩრდილვის ხარჯზე. შეიძლება ითქვას, გელათური თარგმანები სამეცნიერო ხასიათისაა. იგი გამიზნულია არა ჩვეულებრივი, არამედ განსწავლული მკითხველისათვის.

წმინდა წერილის თარგმანში, შესრულებული იგი კლება-მატებისა თუ ელინოფილური მეთოდით, უცილობლად დაცული უნდა იყოს ორი ენობრივ-სემანტიკური კატეგორია, რომლებზედაც პირდაპირაა დამოკიდებული აზრის სიცხადე. ეს კატეგორიებია **დრო** და **კილო**. თარგმანში შესაძლოა უმართებულოდ იყოს ასახული გრამატიკული პირი, რიცხვი, ასპექტი და ა. შ., მაგრამ სემანტიკას, თეოლოგიურ აზრს არაფერი ევენოს. დროისა და კილოს შენაცვლება იწვევს დიდ სემანტიკურ გადაწვევებს და საბოლოოდ – საღვთისმეტყველო აზრის (მოდღვრების) მცდარ ინტერპრეტაციას.

ნაშრომში განვიხილავთ ძველბერძნულ და ქართულ ზმნურ ფორმათა (მწკრივთა) ურთიერთმიმართების საკითხებს. ტექსტობრივი მასალის საფუძველზე ვაანალიზებთ თითოეული ქართული მწკრივისა და ტექსტში მათი შესატყვისი ძველბერძნული ზმნური ფორმების შეთანადების სპეციფიკურ შემთხვევებს.

საანალიზო ტექსტად აღებული გვაქვს წმინდა წერილის ახალი აღთქმის კორპუსში შემავალი შვიდი კათოლიკე ეპისტოლე. ორიგინალი ტექსტი ძველი ბერძნულია (შემდგომში – ბერძნული). ვიყენებთ მის კრიტიკულ ვერსიას: THE GREEK NEW TESTAMENT, DEUTSCHE BIBELGESELLSCHAFT UNITED BIBLE SOCIETIES (IV revised edition), 1994 გამოცემის მიხედვით. ამ გამოცემას შემდგომ მსჯელობებში პირობითად B ნიშნით დავასახელებთ. ქართულ ვერსიად აღებული გვაქვს საპატრიარქოს ბიბლიის თარგმნის ჯგუფის მიერ შესრულებული თარგმანი, რომელიც 2016 წელს გამოიცა. შემდგომ მსჯელობებში აღნიშნულ ახალ ქართულ ვერსიას პირობითად ვუწოდებთ A რედაქციას. კათოლიკე ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსიები (X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით) შეისწავლა ქეთევან ლორთქიფანიძემ. იგი აკაკი შანიძის რედაქციით 1956 წელს გამოიცა ძველი ქართული ენის ძეგლების VIII

ტომში, რომელშიც სანიშნოდან შესწავლილი კათოლიკე ეპისტოლეთა რედაქციული ვარიანტები. აღნიშნული ძველი თარგმანების გამოყენების შემთხვევაში ვიყენებთ ὁὐδὲ ნიშნებს, როგორც მითითებული აქვს გამომცემელს. ჩვენი მიზანია, ერთმანეთს შევუდაროთ ბერძნული B და ქართული A რედაქციების ტექსტებში დადასტურებული ზმნური ფორმები; გავარკვიოთ ის კანონზომიერებები, რომლებიც შეინიშნება ბერძნულ-ქართულ ზმნურ ყალიბთა ურთიერთმიმართებაში; გავაანალიზოთ სპეციფიკური შემთხვევები ზმნურ ფორმათა ურთიერთშეხვედრისას.

საინტერესო იქნებოდა ტექსტობრივი ველი გაგვეფართოებინა და პარალელური ადგილები დაგვეძებნა არა მარტო ძველ ქართულ ვერსიებში, არამედ უცხოენოვან თარგმანებშიც (ლათინური, ინგლისური, რუსული). ასეთი მასშტაბის კვლევა სტატიის ფორმატს გასცდებოდა. ეს შეიძლება სამომავლო კვლევის ობიექტად დავსახოთ.

მასალის დიდი მოცულობის გამო, მკითხველს ნაშრომს შევთავაზებთ ორ ნაწილად. პირველ ნაწილში განვიხილავთ I სერიის აწმყოს წრის მწკრივებს.

აწმყო (Praesens)

ბერძნულში Praesens (აწმყო) აწარმოებს ოთხ კილოს – Indicativus (თხრობითი), Coniunctivus (პირობითი/კავშირებითი), Optativus (ნატვრითი), Imperativus (ბრძანებითი). აწმყო დროში დასახელებულ ოთხივე კილოს აქვს ორგანული წარმოების საკუთარი ყალიბი:

Praesens			
Indicativus	Coniunctivus	Optativus	Imperativus
λσ ¹	λσ ^ა	λσ ^{οι}	
ვშლი	რათა ვშლიდე	ნეტა ვშლიდე	
λσ ^{εις}	λσ ^{ης}	λσ ^{οις}	λσ ^ε
შლი	რათა შლიდე	ნეტა შლიდე	(და)შალე
λσ ^{ει}	λσ ^η	λσ ^{οι}	λσ ^{ετα}
შლის	რათა შლიდეს	ნეტა შლიდეს	(და)შალოს
λσ ^{ομεν}	λσ ^{αμεν}	λσ ^{οιμεν}	
ვშლით	რათა ვშლიდეთ	ნეტა ვშლიდეთ	
λσ ^{ετε}	λσ ^{ητε}	λσ ^{οιτε}	λσ ^{ετε}
შლით	რათა შლიდეთ	ნეტა შლიდეთ	(და) შალოთ
λσ ^{ουσιν}	λσ ^{ασι}	λσ ^{οισιν}	λσ ^{οντασιν}
შლიან	რათა შლიდნენ	ნეტა შლიდნენ	(და)შალონ

ცხრილი №1.

ცხრილიდან ჩანს, რომ ბერძნულში გვაქვს: აწმყოს თხრობითი, აწმყოს კავშირებითი, აწმყოს ნატვრითი და აწმყოს ბრძანებითი. თითოეულ მწკრივს საკუთარი ფორმა მოეპოვება. ამასთან, ბერძნულში გვაქვს აორისტის კავშირებითი და აორისტის ბრძანებითი. სხვაობა აწმყოს კავშირებითსა და აორისტის კავშირებითს შორის მხოლოდ სახეობრივია და არა დროული (ურუშაძე 1987: 137).

ჩვენ მიერ განსახილველ ტექსტებში ქართული აწმყოს მწკრივი ძირითადად გადმოსცემს ბერძნულ Praesens Indicativus-ს, ხოლო Praesens Coniunctivus, Praesens Optativus და Praesens Imperativus გადმოცემულია ქართულის შესაბამისი კავშირებითისა და ბრძანებითის¹ ფორმებით. მათ განვიხილავთ შესაბამის ნაწილში.

A რედაქციის ტექსტში აწმყოს მწკრივის გამოყენების 517 შემთხვევა გვაქვს. როგორც აღვნიშნეთ, აბსოლუტურ უმრავლესობაში აწმყოს მწკრივით გადმოიცემა ბერძნული preasens Indicativus. ორიოდ ნიმუში:

Συ πιστευεις οτι εις εστιν ο Θεος, შენ **გწამს**, რომ ერთია ღმერთი, καλας ποιεις (B, iak., 2, 19). კარგს **აკეთებ** (A, iak., 2, 19).

Ουτοι δε οσα μεν ουκ οιδασιν ხოლო ესენი, რაც არი **იციან**, βλαστημουσιν (B, iouδ., 1, 10). **გმოზენ** (A, iouდ., 1, 10).

ვთქვით, რომ აბსოლუტურ უმრავლესობაში ბერძნული preasens Indicativus ქართულში გადმოღებულია აწმყოს მწკრივით, თუმცა გვაქვს მწკრივთა აღრევის რამედნიმე შემთხვევა. მწკრივთა შორის ასეთ აცდენებს გარკვეული სემანტიკური გადახრები მოჰყვება, რამაც შეიძლება გააზუნდოვანოს ტექსტის აზრი. ისეთი ტექსტისათვის, როგორიცაა წმინდა წერილი, სემანტიკის გადაწევა მიუღებელია. ორიგინალი ტექსტის თეოლოგიურ მსჯელობებში გამოყენებული გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორიები (პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი...) თარგმანში ზედმიწევნით (უცვლელად) უნდა იქნეს

¹ როგორც ცნობილია, ბრძანებითი, თავის მხრივ, იყენებს წყვეტილის ან კავშირებითის ფორმებს.

გადმოღებული. ამ შემთხვევაში სემანტიკურ-გრამატიკული კატეგორიები არის ის რგოლები (ენობრივი საშუალებები), რომლებზეც აიგება ტექსტის სემანტიკის მთელი ჯაჭვი. მნიშვნელოვანია თითოეული რგოლის უცვლელად დაცვა. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც სემანტიკა იძლევა მწკრივთა შენაცვლების უფლებას. მაგალითად, ბერძნულში ბრძანებით კილოს საკუთარი ფორმა აქვს, ქართულში კი ბრძანებით კილოს საკუთარი ფორმა არ აქვს. იგი იყენებს წყვეტილის ან კავშირებითის ფორმებს: ბერძნული *δέξαμε!* **მიიღეთ!** / უნდა **მიიღოთ!** *μη δέξαμε* ნუ **მიიღებთ** / არ **მიიღოთ**. აქ ზმნური ფორმის შენაცვლებამ სემანტიკური ცვლილება ვერ გამოიწვია. ერთ შემთხვევაში წყვეტილის ფორმა გამოყენებული, მეორეში – II კავშირებითისა, კილო კი ორივე შემთხვევაში ბრძანებითია. ამგვარი შენაცვლება ძალზედ შეზღუდულია და მისი მასშტაბების გაზრდა, უპირველეს ყოვლისა, სემანტიკას აზარალებს.

• ბერძნული **Praesens/Aoristus Coniunctivus** გადმოიცემა **აწმყოს** მწკრივით

ზმნურ ფორმათა შენაცვლება შესაძლებელია ამგვარ წინადადებაშიც:

„εν αυτη **εὐλογοῦμεν** τον Κιριον και πατερα και εν αυτη **καταραμεθα** τους αμθιραπους...“ (B, *იაკ.*, 3, 9).

ხაზგასმული ზმნური ფორმებიდან პირველი თხრობითი კილოა S_1 პირის მრავლობით რიცხვში, ხოლო მეორე ფორმა S_1 პირის მრავლობითი რიცხვის კავშირებითის კილოა. წინადადების ჩვენეული ზედმიწევნითი თარგმანია:

„ამით **ვაკურთხებთ** უფალსა და მამას და ამითვე **ვწყევლიდეთ** ადამიანებს...“

A რედაქციაში კი ბერძნული **καταραμεθα**-ს კავშირებითი კილო შეცვლილია თხრობითით:

„ამით **ვაკურთხებთ** ღმერთსა და მამას და ამითვე **ვწყევლით** ადამიანებს...“ (A, *იაკ.*, 3,9).

ამ შემთხვევაში კილოს, და საბოლოო ჯამში ზმნური ფორმის, შენაცვლებამ სემანტიკას ვერაფერი ავნო. ზმნურ ფორმათა ამგვარი შენაცვლება მრავლად გვხვდება. კიდევ ერთი ნიმუში:

“ος εαν ουν **βουληθη** φιλος ειναι του κοσμου, εχθρος του Θεου καθισταται” (B, *იაკ.*, 4, 4).

ხაზგასმული ზმნა აორისტის კავშირებითის S_3 პირის ფორმა პასივის მხოლოდობით რიცხვში და ნიშნავს: **სურდეს** (სწადდეს). ქართულ თარგმანში მას თავისუფლად ენაცვლება აწმყოს მწკრივი:

„ამიტომ ვისაც **სწადია** მეგობარი იყოს ამ სოფლისა, ღვთის მტერი ხდება“ (A, იაკ., 4, 4).

დამოწმებულ ჰიპოტაქსურ წინადადებაში **სწადია** ფორმა შესატყვისია ბერძნული **βουληθη** ფორმისა, რომლის კავშირებითობას დამოკიდებული წინადადების **იყოს** ფორმა აკომპენსირებს. კავშირებითის **იყოს** ზმნას ბერძნულში **ειναι** ინფინიტივური ფორმა შეესაბამება. ბერძნული ტექსტის ზედმიწევნითი თარგმანია:

„ვისაც **სწადდეს** მეგობრად **ყოფნა...**“

A რედაქციაში გვაქვს: ვისაც **სწადია** მეგობარი **იყოს...**

როგორც გამოჩნდა, ქართულში კავშირებითობა **იყოს** ზმნამ გადმოსცა, ხოლო ბერძნულის კავშირებითის ფორმის (**βουληθη**) შესატყვისი ზმნა **სწადდეს** ქართულში თხრობითი ჩადგა: **სწადია**. მსგავსი ნიმუშები, ანუ ბერძნული კავშირებითის ქართულში თხრობითი გადმოცემა, მრავლადაა.

საინტერესო შემთხვევაა, როდესაც ორიგინალ ტექსტში მსჯელობა მომავალ დროში მიმდინარეობს, ქართულში კი გადმოტანილია აწმყოში. დროთა ამგვარი გადმოტანა გარკვეულ სემანტიკურ გადაწევას იწვევს, რაც საბოლოოდ აზიანებს აზრს და აბუნდოვანებს სათქმელს. პირველ კათოლიკე ეპისტოლეში იოანე მოციქული წერს:

„Εαν **ειπωμεν** οτι κοινωνιαν εχομεν μετ αυτου και εν τω σκoteι **περιπαταμεν**, ψευδομεθα και ου ποιουσμεν την αληθειαν“ (B, 1Ιοαν., 1, 6).

ხაზგასმული ფორმები S_1 პირის კავშირებითი კილოს ფორმებია მრავლობით რიცხვში. აქ საუბარია მომავალ დროში აღსასრულებელ მოქმედებაზე, რომელიც შესაძლოა აღსრულდეს. მთქმელს ამ მოქმედების მიმართ სააღბათო (ეჭვითი) დამოკიდებულება აქვს. ამიტომაც ზმნური ფორმები კავშირებითებით არის გადმოცემული: **ειπωμεν** (= რომ ვთქვათ, თუკი ვიტყვით), **περιπαταμεν** (= რომ დავდიოდეთ, თუკი ვივლით). წინადადების ზუსტი თარგმანია:

„თუკი **ვიტყვით**, რომ თანაზიარობა გვაქვს მასთან და ბნელში **ვივლით**, ვცრუობთ და არ ვიქმთ ჭეშმარიტებას“.

როგორც გამოჩნდა, აქ გვაქვს პირობითი დამოკიდებული წინადადება. დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს მთავარს. მსაზღვრელ (დამოკიდებულ) წინადადებაში საუბარია მომავალში მოსახდენ მოქმედებაზე (თუკი ვიტყვით და თუკი ვივლით), საზღვრულ (მთავარ) წინადადებაში მოქმედება აწმყოშია. ე. ი. ბერძნული ტექსტის მიხედვით მომავალში მოსახდენი მოქმედება განსაზღვრავს აწმყოს. A რედაქციის ტექსტში ამგვარი სემანტიკური მიმართება დარღვეულია, რაც გამოწვეულია კავშირებით კილოზე უარის თქმით და შედეგად მოქმედების აწმყოში გადმოტანით:

„თუ **ვამბობთ**, რომ თანაზიარნი ვართ მისი და ბნელში **დავდივართ**, ვტყუით და არ ვიქმთ ჭეშმარიტებას“ (A, 1 იოან., 1, 6). ქართულ თარგმანში ბერძნული **εἰπαμεν** და **περιπαταμεν** გადმოღებულია აწმყოს მწკრივის ფორმებით **ვამბობთ** და **დავდივართ**.

მსგავსი შენაცვლებები:

Εάν δε ἐν τῷ φῶτι **περιπαταμεν**“ ხოლო თუ ნათელში **დავდივართ**
(B, 1 იოან., 1,7) (A, 1 იოან., 1,7).

სწორი თარგმანი იქნებოდა: ნათელში რომ **დავდიოდეთ**.

ὅς δ' ἀν **τηρη** αὐτοῦ τον λογον... ხოლო ვინც **იცავს** მის მცნებებს...
(B, 1 იოან., 2,9) (A, 1 იოან., 2,9).

სწორი თარგმანი იქნებოდა: რომელმაც მისი სიტყვა **დაიცვას...**

ბოლო დამოწმებულ ნიმუშში ბერძნული **τηρη** S₃ პირის კავშირებითია მხოლოდით რიცხვში და მისი ქართული შესატყვისია **დაიცვას**, ქართული თარგმანი კი იყენებს აწმყოს მწკრივის ფორმას **იცავს**. ბერძნულ კავშირებითსა და ქართულ აწმყოს შორის მსგავსი მიმართებები მრავლადაა.

• ბერძნული **Nomina participia** გადმოიცემა **აწმყოს** მწკრივით.

არაერთგზის ქართული აწმყოს მწკრივი შესატყვისია ბერძნული მოქმედებითი გვარის მიმღეობისა:

„Μη καταλαλείτε ἀλλήλων, ἀδελφοί, **ο καταλαλὼν ἀδελφὸν ἢ κρινὼν** τὸν ἀδελφὸν αὐτοῦ καταλαλεῖ νομοῦ καὶ κρινεῖ νομὸν“ (B, 1ακ., 4,11).

A რედაქციის თარგმანი:

„ავს ნუ ამბობთ ერთმანეთზე, ძმებო. ვინც **ავს ამბობს** ძმაზე და **განიკითხავს** თავის ძმას, ავს ამბობს სჯულზე და განიკითხავს სჯულს“ (A, 1აკ., 4,11).

Καταλαλὼν და **κρινὼν** არის მოქმედებითი გვარის მიმღეობა S₁ პირის მხოლოდობით რიცხვში და ნიშნავს **ავისმთქმელი** (= მაგინებელი) და **განმკითხველი**. ორივე შემთხვევაში ქართული უარს ამბობს მიმღეობურ ფორმებზე და იყენებს პირიან ფორმებს **ამბობს** (ავს ამბობს) და **განიკითხავს**. ბერძნულში აქვე გვაქვს **καταλαλεῖ** და **κρινεῖ** პირიანი ფორმები, რომლებიც ქართულში მართებულადაა გადმოღებული **ამბობს** და **განიკითხავს** ზმნური ფორმებით.

ბერძნულის მიმღეობებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ბერძნულ ენას შეუძლია ორგანული წარმოებით ოთხ დროში (preasens, futurum, aoristus, perfectum) გადმოსცეს სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობები.

საანალიზო ტექსტებში ბერძნული მიმღეობა აღწერითი ფორმებითაც გადმოიცემა. აი, ერთი ნიმუში:

„καὶ ἡ εὐχὴ τῆς πίστεως ὅσῃς τὸν καμνοντα καὶ ἐγερει αὐτὸν ὁ Κύριος; καὶ **ἁμαρτίας ἡ πεποιτικας**, ἀφεθίσεται αὐτῷ“ (B, 1ακ., 5,15). ხაზგასმულ შესიტყვებაში **ἁμαρτίας ἡ πεποιτικας** გამოყენებული ფორმა **πεποιτικας** პერფექტის სასუბიექტო მიმღეობაა S₁ პირის მხოლოდობით რიცხვში. იგი ქართულში აღწერითი ფორმით ამვგარად გადმოიცემა: **მქმნელი იყო** (= მქმნელი წარსულში, რომლის მოქმედების შედეგი აწმყოში გვაქვს). დამოწმებული ბერძნული ტექსტის ზედმიწევნითი თარგმანია: „რწმენით ლოცვა იხსნის სნეულს და აღადგენს მას უფალი; და თუ ცოდვების **მქმნელი იყო (πεποιτικας)**, მიეტევება მას“.

ქართულში სასუბიექტო მიმღეობის ორგანული წარმოება გვაქვს მხოლოდ აწმყოსა და მყოფადში. რაც შეეხება ბერძნულ პერფექტულ მიმღეობას, ის ქართულში ორგანული წარმოების მიმღეობური ფორმით არ გადმოდის. ქართულში პერფექტული მიმღეობის (**πεποιτικας**) გადმოცემის ორი

საშუალებას: 1) აღწერითი წარმოების მიმღეობა: **მქმნელი იყო** და 2) ორგანული წარმოების ზმნური ფორმა, კერძოდ, I შედეგობითი: **უქმნია**. განსახილველ ფორმასთან მიმართებით A რედაქცია ირჩევს პირველ საშუალებას და **πεποικας** გადმოაქვს აღწერითად: **აქვს ჩადენილი**² (= ჩაუდენია). A რედაქციის სრული თარგმანია: „და რწმენით ლოცვა გადაარჩენს სნეულს და აღადგენს მას უფალი; და თუ ცოდვები **აქვს ჩადენილი**, მიეტევება მას. ძველ ქართულ თარგმანებში **πεποικας** გადმოცემულია III კავშირებითით: დაღათუ ცოდვად რამე **ექმნეს**, მი-ვე-ეტევნენ მას (C¹L).

• ბერძნული **Perfectum** გადმოიცემა **აწმყოს** მწკრივით ბერძნული პერფექტი, ამ შემთხვევაში ზმნური ფორმა **δεδοσλათαι**, ქართულ თარგმანში გადმოღებულია აწმყოს მწკრივით:

„ω γαρ τις ηττηται, τουτω δεδοσλათαι (B, 2πετ., 2,19).

ქართული თარგმანი:

„რადგან ვინც რითია ძლეული, იმას **ემონება**“ (A, 2 პეტ., 2,19).

პერფექტული ფორმის ზუსტი თარგმანი იქნებოდა მისი I შედეგობითით გადმოღება: **დამონებია**, A რედაქცია კი ირჩევს აწმყოს მწკრივს და თარგმნის როგორც **ემონება**. აქ აღარ შევუყვებით ბერძნულ ტექსტში დამოწმებული სხვა პერფექტული ფორმების განხილვას. მათ ანალიზს ქართული I შედეგობითის ფორმების ნაწილში წარმოვადგენთ. შევნიშნავთ ერთს: შეიმჩნევა ტენდენცია ბერძნული პერფექტული ფორმების ქართულში აწმყოს მწკრივით გადმოღებისა.

დასკვნა:

სისტემურად ქართული **აწმყოს** მწკრივით გადმოიცემა ბერძნული **Praesens Indicativus**;

ხშირად ბერძნული **Praesens/Aoristus Coniunctivus** გადმოიცემა **აწმყოს** მწკრივით;

აწმყოს მწკრივი (ზოგადად, ზმნური ფორმები) ხშირად გადმოსცემს ბერძნულ **Nomina participial**-ს;

ბერძნული **Perfectum** გადმოიცემა **აწმყოს** მწკრივით.

²ლექსიკურ შენაცვლებას **ქმნა – ჩადენა, მქმნელი – ჩამდენი** სემანტიკური ცვლილება არ შემოაქვს.

უწყვეტელი (Imperfectum)

ბერძნული **Imperfectum** და მისი შესატყვისი ქართული **უწყვეტელი** წარსულის უსრული ასპექტის მოქმედებას გადმოსცემს:

Praesens	აწმყო	Imperfectum	უწყვეტელი
Μαῖθᾶν	ვსწავლობ	ἐμαῖθᾶν	ვსწავლობდი
Μαῖθᾶνεις	სწავლობ	ἐμαῖθᾶνες	სწავლობდი
Μαῖθᾶναι	სწავლობს	ἐμαῖθᾶνε	სწავლობდა
Μαῖθᾶνομεν	ვსწავლობთ	ἐμαῖθᾶνομεν	ვსწავლობდით
Μαῖθᾶνετε	სწავლობთ	ἐμαῖθᾶνετε	სწავლობდით
Μαῖθᾶνουσιν	სწავლობენ	ἐμαῖθᾶνουσιν	სწავლობდნენ

ცხრილი №2.

ბერძნული **Imperfectum**, განსხვავებით სხვა დროებისაგან, ვერაწარმოებს კავშირებით, ნატვრით დაბრძანებით კილოებს. მას მხოლოდ თხრობითი კილო მოეპოვება. ეს უნდა ქმნიდეს საფუძველს, რომ ბერძნული **Imperfectum** ყოველთვის გადმოვიდეს უწყვეტლის მწკრივით, თუმცა მაინც გვაქვს ზმნურ ფორმათა აღრევის ფაქტები. ვიდრე ამგვარ სპეციფიკურ შემთხვევებს განვიხილავდეთ, ორიოდ ნიმუშით ზმნურ ფორმათა რეგულარულ და კანონზომიერ შესატყვისობებს წარმოვაჩენთ:

• ბერძნული **Imperfectum** გადმოიცემა **უწყვეტლის** მწკრივით

Ημεραν εἶ ημεραν ψυχην
δικαιον ανομοις ἐργοις
ἐβασσιζεν (B, 2 πετ., 2,8)

მათი უწესო საქმეების ხედვით
და სმენით ყოველდღიურად
ტანჯავდა მართალ სულს (A, 2
პეტ., 2, 8)

Ουχ ᾤεντο οὐδὲν καὶ οὐκ
γράφαν σοὶ ἄλλα ἢ ἐρχομεν
ἀπ' **ἀρχῆς** (B, 2 იოან., 1,5)

ახალ მცნებას არ გწერს, არამედ
იმას, რაც **გვქონდა** დასაბამიდან
(A, 2 იოან., 1, 5)

დამოწმებულ ბერძნულ ტექსტებში ხაზგასმულია **Imperfectum**-ის ფორმები. პირველი S₃ პირის ფორმაა

მხოლოდობით, ხოლო მეორე S₁ პირის მრავლობით რიცხვში დგას. მათ ქართულ ტექსტში მართებულად შეესაბამება **ტანჯავდა** და **გვეონდა** ზმნური ფორმები. ტექსტებში **Imperfectum**-ისა და **უწყვეტლის** ამგვარი კანონზომიერი მიმართება არაერთია.

• ბერძნული **Aoristus** გადმოცემულია **უწყვეტლის** მწკრივით

უწყვეტლის მწკრივი ყოველთვის არ გადმოსცემს ბერძნულ **Imperfectum**-ს. გვაქვს არაერთი შემთხვევა, როდესაც უწყვეტლის მწკრივით ბერძნული **Aoristus** არის გადმოტანილი. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ სემანტიკურ გადახრებს იწვევს. ბერძნული **Aoristus**, რომლის ქართული შესატყვისია **წყვეტილის** მწკრივი, წარსულში აღსრულებულ სრულასპექტიან მოქმედებას გამოხატავს. მისი უწყვეტლის მწკრივით გადმოღება არ არის გამართლებული, რადგან სემანტიკაში მოქმედების სახეობრივ ნიუანსს ცვლის – სრულასპექტიანს გარდასახავს უსრულასპექტიანად. დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს ამგვარი სპეციფიკური ფაქტებიდან:

Υποδειγμα λαβετε, αδελφοι, της ჭირთათმენისადასულგრძელების
κακοπαθιας και της μακροθυμιας მაგალითად გყავდეთ, ჩემო ძმებო,
τους προφητας οι **ελαλησαν** εν τω წინასწარმეტყველნი, რომელბიც
ονοματι Κυριου (B, 1ak., 5,10) უფლის სახელით **მეტყველებდნენ**
(A, 1ak., 5,10)

Εμβασαμεθα, εψηλαφησαν (B, 1 **ვპვრეტდით, ვეხებოდით** (A, 1
1oav., 1,1) 1oav., 1,1)

Ως Σαρρα **σπηκουσεν** τω Αβρααμ როგორც სარრა **ემორჩილებოდა**
(B, 1 πετ., 3,6) აბრაამს (A, 1 პეტ., 3,6)

დამოწმებული ბერძნული ფორმები **Aoristus**-ის ყალიბისაა. ისინი ფრაზაში წარსულის სრულასპექტიან მოქმედებას აღნიშნავენ. A რედაქციაში კი აღნიშნული ფორმები უწყვეტლის მწკრივით არის გადმოტანილი. ბუნებრივია, ქართულ თარგმანში ბერძნული ფორმების სახეობრივი (ასპექტური) ნიუანსი ვერ აისახა.

დასკვნა:

უწყვეტლის მწკრივი კანონზომიერად გადმოსცემს ბერძნულ **Imperfectum**-ს;

A რედაქციაში დასტურდება **უწყვეტლის** მწკრივით ბერძნული **Aoristus**-ის გადმოცემა.

აწმყოს კავშირებითი (Praesens Coniunctivus)

საანალიზო ტექსტი საინტერესო სურათს აჩვენებს აწმყოს კავშირებითის მწკრივთან მიმართებით. მასში 52-ჯერ გამოიყენება აწმყოს კავშირებითი. მოსალოდნელი იყო, რომ ქართულის აწმყოს კავშირებითს, უმრავლეს შემთხვევაში, რეგულარულად გადმოეცა ბერძნული Praesens/Aoristus Coniunctivus, თუმცა A რედაქციის ტექსტში მოსალოდნელი ვითარება არ დასტურდება. 52-დან მხოლოდ 9 შემთხვევაში გადმოსცემს ქართულის აწმყოს კავშირებითი ბერძნულ Praesens/Aoristus Coniunctivus-ს. ასეთ კანონზომიერ მიმართებებს ქვემოთ ვაჩვენებთ. მანამდე განვიხილავთ ფაქტებს, როდესაც აწმყოს კავშირებითით გადმოცემულია ბერძნული Praesens/Aoristus Imperativus.

• ბერძნული **Praesens / Aoristus Imperativus** გადმოცემულია **აწმყოს კავშირებითით**

ბერძნულში ბრძანებით კილოს დროის სამი ფორმა აქვს: აწმყო, აორისტი და ნამყო სრული. აწმყოს ბრძანებითსა და აირისტის ბრძანებითს შორის განსხვავება სახეობრივია და არა დროული: **γραφε** (აწმყოს ბრძანებითი) **წერე, γραφον** (აორისტის ბრძანებითი) **დაწერე** (ურუშაძე 1987: 138). ქართულში S₂ პირის ბრძანებითი კილოს ფორმა იყენებს წყვეტილის ყალიბს. აქაც გვაქვს ფორმათა შორის ასპექტური სხვაობა. უზმნისწინო ფორმა უსრულასპექტიანია და შესატყვისია ბერძნულის აწმყოს ბრძანებითისა (**γραφε** წერე), ხოლო ზმნისწინიანი ფორმა სრულ ასპექტს აღნიშნავს, რომელიც ბერძნულ აორისტის ბრძანებითს შეესაბამება (**γραφον** – დაწერე). ასეთივე წარმოებაა S₃ პირშიც, მხოლოდ კავშირებითის ყალიბით. ამგვარია ქართულ და ბერძნულ ზმნურ ფორმათა შორის ზუსტი, პირდაპირი შეთანადება. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ტექსტის ჩვენებას, აქ სხვაგვარი ვითარებაა. ბერძნული ბრძანებითები,

აწმყოსი იქნება ეს თუ აორისტიკა, გადმოღებულია აწმყოს კავშირებითი. აი, ისინიც: **Αγαλλιασθε** (B, 1 πετ., 1, 6) **გიხაროდეთ** (A, 1 პეტ., 1, 6), და არა – **გაიხარეთ**; **Οικοδομεισθε** (B, 1 πετ., 2, 5) **შენდებოდეთ** (A, 1 პეტ., 2, 5), და არა – **აშენდით**; **Αγαπατε** (B, 1 πετ., 2, 17) **გიყვარდეთ** (A, 1 პეტ., 2, 17), და არა – **შეიყვარეთ**; **κλαυσατε** (B, 1 ακ., 5, 1) **ტიროდეთ** (A, 1 ακ., 5, 1), და არა – **იტიროთ**. ასეთ შემთხვევებში სემანტიკა არ იჩრდილება, ძირითადი შინაარსობლივი ხაზი დაცულია. აქ საინტერესოა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ბერძნულის S_2 პირის ბრძანებითის ფორმები ქართულში გადმოდის აწმყოს კავშირებითებით. კავშირებითები კი, წესისამებრ, S_3 პირის ბრძანებითებშია მოსალოდნელი. ზემოთ დამოწმებულის მსგავსი შესატყვისობები მრავლადაა. მეტს აღარ დავიმოწმებთ.

როგორც აღვნიშნეთ, 52 შემთხვევიდან 9-ჯერ აწმყოს კავშირებითი გადმოსცემს ბერძნულის Praesens Coniunctivus-ს. ორიოდ ენიშნება:

Και νυν, τεκνία, μενετε εν αυτω, **და ახლა, შვილნო, იყავით**
 ινα εαν φανερωσθι **σχαμεν**
παρηρησιν (B, 1 1000., 2,28)

და ახლა, შვილნო, იყავით
მასში, რათა, როცა განცხადდება,
გვექნდეს კადნიერება (A, 1 1000., 2,28)

Ιδετε ποταπην αγαπην δεδωκεν
 ημιν ο πατηρ, ινα τεκνα Θεου
κληθμεν (B, 1 1000., 3,1)

იხილეთ, როგორი სიყვარული
მოგვცა ჩვენ მამა, რათა ღვთის
შვილებად ვიწოდებოდეთ (A, 1 1000., 3,1)

დამოწმებულ ზმნურ ფორმათა შორის სრული შესატყვისობაა. ბერძნულის კავშირებითების ფორმებს **σχαμεν, κληθμεν** გადმოსცემენ ქართულის აწმყოს კავშირებითები **გვექნდეს, ვიწოდებოდეთ**, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ზმნურ ფორმათა შორის ასეთი კანონზომიერი თანხვედრა მცირეა.

დასკვნა:

ბერძნული **Praesens/Aoristus Coniunctivus** იშვიათად გადმოიცემა აწმყოს კავშირებითის მწკრივით;

დასტურდება ბერძნული **Praesens/Aoristus Imperativus**-ის აწმყოს კავშირებითით გადმოცემის სპეციფიკური შემთხვევები.

გამოყენებული ლიტერატურა

ახალი აღთქმა 2016 – ახალი აღთქმა. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 2016.

ლორთქიფანიძე 1956 – ლორთქიფანიძე ქ., კათოლიკე ეპისტოლეტა ქართული ვერსიები (X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით). თბილისი, 1956.

ურუშაძე 1987 – ურუშაძე ა., ძველი ბერძნული ენის გრამატიკა. თბილისი, 1987.

ფანჯიკიძე 1988 – ფანჯიკიძე დ., თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბილისი, 1988.

შანიძე 1976 – შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა. თბილისი, 1976.

შანიძე 1980 – შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თხზულებები თორმეტ ტომად, ტ. III. თბილისი, 1980.

Вольф... 2002 – Вольф Ф., Малинаускене К., Древнегреческий Язык. Часть первая. Москва, 2002.

Вольф... 2004 – Вольф Ф., Малинаускене К., Древнегреческий Язык. Часть вторая. Москва, 2004.

Вольф... 2004 – Вольф Ф., Малинаускене К., Древнегреческий Язык. Часть третья. Москва, 2004.

Ньюман 2002 – Ньюман Б., Греческо-русский словарь нового завета. Москва, 2002.

Aland... 1993 – The Greek New Testament. IV revised edition. Stuttgart, 1993.

David Iobidze

**INTERRELATION OF VERB FORMS
OF CATHOLIC EPISTLES
IN ANCIENT GREEK AND GEORGIAN VERSIONS
(PART ONE)**

Summary

Translation of Holy Scripture is a specific phenomenon. It has a centuries-old history in the Georgian translation tradition.

In the paper, we discuss the issues of the relationship between ancient Greek and Georgian verb forms. Based on the textual material, we analyze the specific cases of correspondence of each Georgian form and their corresponding ancient Greek verb forms in the text.

We have taken seven Catholic epistles included in the corpus of the New Testament of the Holy Scriptures as an analysis text. The original text is ancient Greek (hereafter - Greek). We use its critical version: THE GREEK NEW TESTAMENT, DEUTSCHE BIBELGESELLSCHAFT UNITED BIBLE SOCIETIES (IV revised edition), according to the 1994 edition. Due to the large volume of the material, we will offer the reader the paper in two parts. In the first part we will discuss the Praesens, Imperfectum and Praesens Coniunctinus forms.

ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე

**მეფე ერეკლე
ქართული ხალხური სიტყვიერების
მიხედვით**

მეფე ერეკლეს (პატარა კახს) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი ტრაგიკული ბედის მქონე მეფეა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე გარეშე მტრებთან და რეაქციონერ თავადთა წინააღმდეგ ბრძოლას შეაღწია. ქართულ ხალხურ სირტყვიერებაში მეფე ერეკლე წმინდანად, ღვთის შვილთა თანამომძმედ და ზებუნებრივად არის წარმოდგენილი. მის სახელთან არის დაკავშირებული მსოფლიოში მოარული მოტივის შემცველი ლეგენდა, რომელიც ტყეში დატოვებული ბავშვის ირმის მიერ აღზრდის შესახებ მოგვითხრობს:

ბატონიშვილ ერეკლესა ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა, თრიალეთზედ უძოვნია,
გადუგდიათ საჩალეში, მონადირეს უპოვნია

(ქართული ხალხური სიტყვიერება 1970: 248).

ისევე როგორც თამარ მეფე, ერეკლეც წმინდანია, ღვთის შვილთა თანამომძმეა. თედო რაზიკაშვილის ცნობით, ხალხს სწამდა, „ერეკლე როცა ლოცვაზე დადგებოდა, ხმაღს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, იმ სხივითგან ისევ აიღებდა ხმაღსაო; როცა მტერი თავს დაესხმებოდა, მას ხმაღი თავისთავად შემოერთყმოდო“

(შანიძე 1931: 365). მისივე გადმოცემით, „ხალხის რწმენით, ერეკლე მეორის ძვლებს მირონი ჩამოსდის, რაც მისი ღვთაებრიობის მაჩვენებელია“; „ხალხს სწამს, მეფე ერეკლე და თამარ მეფე ცოცხლები არიან ღმერთთან და როცა გაუჭირდება, საქართველოს მოეშველებიანო“ (იქვე).

მეფე უდიდესი, ზეკაციური ძალის პატრონად არის წარმოდგენილი:

ერეკლე ჩვენი ბატონი – ერთი პატარა კახია,
ჩააცვეს ჯაჭვის პერანგი,
გაჰკრა ხელი და გახია (ალიბეგაშვილი 1992: 296).

ასევე:

ერეკლე ბატონიშვილი განა უბრალო კახია?!
საგურამოში ლეკისა ჯარი მარტომა გახია

(აკაკის კრებული 1898: 13).

ერეკლე მეორის ციკლი თემატურად მრავალფეროვანია. აქტუალური თემებია: მეფის მრავალრიცხოვანი ბრძოლები შინაურ და გარეშე მტრებთან საქართველოს გაერთიანების მიზნით, ბატონყმობის გამწვავება, ერეკლეს ქომაგობადაბალისოციალური ფენისადმი, ბატონიშვილების ცილობა სამეფო ტახტზე, საგარეო ორიენტაციის საკითხი, საქართველოს რუსეთთან შეერთება, ერეკლესათვის დამახასიათებელი სტრატეგიული ნიჭი, დემოკრატიზმი, ჰუმანიზმი და ასე შემდეგ.

ლექსებსა და გადმოცემებში ნათლად ჩანს მეფე, როგორც დემოკრატი, ჰუმანისტი. ლექსში „მეფე ერეკლეს სტუმარი“ ვკითხულობთ:

მოდის, მოგალობს, ღიღინებს ნელა,
ფეხებსა ხლართავს, უყურებს ყველა.
ჰკითხეს: სად იყავ? – მეფესთანაო,
ისიც კაცია ჩვენისთანაო

(ქართული ხალხური სიტყვიერება 1970: 248).

თუშური გადმოცემით, „სასახლის დარაჯმა (თუშმა) ბნელში ვერ იცნო მეფე და მას სილა გააწნა. სასჯელის მომლოდინე შემინებულ მსახურს ერეკლემ მხარზე ხელი დაადო და უთხრა: – ყოჩაღ, თუშო, ეგრე ფრთხილად უყარაულე მეფის სასახლესო“ (იქვე: 259).

დ. ჯანაშვილის მიერ ჩაწერილ თქმულებაში „ერეკლე და გლეხის ქალი“ გადმოცემულია, რომ, როდესაც მეფეს სოფელ ანაგაში გაუვლია, ღარიბი გლეხის ქალს ჩაცმულობით ის სპარსელი ჰგონებია და გაბრაზებულს ლეღვი ზურგში უთხლევია. მეფე არათუ გასწყრომია მას, არამედ მაღლობაც კი უთქვამს მისი შეშინებული მამისათვის, რადგან ასეთი მამულის ერთგული შვილი გაეზარდა. ქალს ძალიან დაკონკილი ტანისამოსი სცმია. მეფეს საჩუქრად ტანსაცმელი უბოძებია მამისათვის მის შესამოსად (იქვე: 260).

მრავლად მოგვეპოვება ისეთი საგმირო პატრიოტული ლექსები, გადმოცემები და თქმულებები, რომლებიც ერეკლე მეორეს ციკლის ნაწარმოებთა ძირითად ფონდს წარმოადგენს. მათში ასახულია 1746 წელს ლეკთა მარბიელი რაზმებისაგან ქართველი ხალხის აწიოკება, გაძარცვა, ტყვედ წაყვანა, გაყიდვა, ქართველი მებრძოლების თავგანწირვა და სხვ. ასევე, ვეცნობით ლეკთა რაზმების დამარცხებას, თრუსოს დაწვას („თრუსოს ჩავიდეს ხევსურნი“, „ჯარს ეძახის ბატონიშვილი“, „ერეკლე ბატონიშვილი ას ღვთისგან დავლათიანი“). „ეს ლექს-სიმღერები განსაკუთრებით საინტერესოა ომის მონაწილე, ისტორიის მიერ უგულებელყოფილი სახალხო გმირების ხსენებითა და პოეტური დახასიათებით“ (სიხარულიძე 1942: 25-28).

მკვლევრებს ისტორიული ფაქტის – კრწანისის ომის ამსახველად მიაჩნიათ გავრცელებული ლექსი დათუნა გომტაშვილზე (თუ ბომტაშვილზე). ერთი ვარიანტის მიხედვით, როდესაც ბრძოლაში მეფეს ცხენი მოუკლეს, პირველად თავი გაუწირავს დათუნა ქვეპირიშვილს და მისთვის მიუერთმევია თავისი ცხენი. ეს ცხენი მეფეს ალაზანში დახრჩობია და მეორედ მისთვის ცხენი დათუნა ბომტაშვილს (მაჩხანელს) მიუგვრია. ჩამწერის აზრით, ლექსი შექმნილია ქვეპირიშვილზე, რომელიც თავგანწირვისათვის დაუსაჩუქრებია დედოფალს. ასევე, ამ ბრძოლაში თავი გაუწირავს გამოჩენილ მცურავს, რომელსაც მეფე გამოუყვანია ალაზნიდან (ივერია 1890: 30-33, №255). „აკაკის კრებულის“ მიხედვით კი დათუნა ბოსიტაშვილმა

გადაარჩინა მეფე, თვითონ კი თავი ხიფათში ჩაიგდო (აკაკის კრებული 1898: 50, №12).

1752 წელს ავღანელ-ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ჯარი აზატ ხანის მეთაურობით შემოიჭრა საქართველოში, რომელიც სასტიკად დაამარცხა ქართველებმა. ამ პერიოდს ასახავს ლექსები: „ისე ადიდდა აზატ-ხან“, „აზატ-ხან წარმოდგარიყო“, „ასეთი გარბის აზატ-ხან“, „გურჯო ერეკლე, რას მამდევ?“ და სხვა.

ლექსში „ისე ადიდდა აზატ-ხან“ ნათქვამია:

ისე ადიდდა აზატ-ხან, თავი ძირს აღარ დაიღო,
აქ მე ვარ სტამბოლ-ხონთქარი, ყეინი ჩემთან რა იყო?
განჯის ხანს შემოუტია, სურსათი ბევრი აიღო,
საქრისტიანოს გულისთვის ერეკლემ ხმალი აიღო...
ერეკლემ რომ ცხენი გასძრა, სისხლმა გაიღო ჩქაფანი...
ისეთი გარბის აზატ-ხან, როგორც ხორასნის ჩაფარი

(ქართული ხალხური სიტყვიერება 1970: 249-250).

ამავე წელს ერეკლე მეორემ დაქირავებული მეომრებით (ჩრდილოკავკასიელებით, ჩერქეზებით და სხვებით) დაამარცხა აჯი ჩელების ჯარი:

გამოზრდნადა კახი მეფე, თან გამოყვა დიდი ჯარი,
სულ ოსი და სულ ჩარგასი, დარაზმული რაზმის ჯარი,
ჯერ კი იხმარეს თოფები, მემრე ამოიღეს ხმალი
(უმიკაშვილი 1937: 106).

ლექსებში – „ხუნძახმა ცხენსა მიჰმართა“, „ნიკამა სთქვა სარდალ ვარ“ და სხვებში ასახულია ხუნძახის მფლობელის – ნურსალ-ბეგის დამარცხება ქართველების მიერ.

ცნობილია, რომ მტერთა ასალაგმავად და ქვეყნად მშვიდობის დასამყარებლად მეფე ერეკლემ მორიგე ლაშქარი დააწესა, რომელსაც სამხედრო ნიჭითა და სიმამაცით დაჯილდოებული გმირი, მამის ღირსეული შვილი ლევან ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც შიმის ზარს სცემდა მომხდურთ. მაგრამ იგი მოულოდნელად გარდაიცვალა, რითაც ხელი გაეხსნა როგორც გარეშე მტერს, ისე მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე რეაქციონერ თავადებს. მიუხედავად ამისა, „თავისი საყვარელი მეფის – ერეკლეს ფრთებქვეშ ამოფარებული ქართველი ხალხი არ

ვარდებოდა სასოწარკვეთილებაში და ოპტიმისტურად იყო განწყობილი:

ვინ მახსენა ლეკებსა სიკვდილი ლევანისაო,
მამკვდარა ხორცის ბატონი, ბრძანება იქნა ღვთისაო,
მტერი ვერ გაულადდება, ერეკლე ცხენსავ ზისაო“
(მანიძე 1931: 26).

პატარა კახი რომ ნუგეზად, თავის მხსნელად და დიდ იმედად მიაჩნდა ქართველ ხალხს, ასეთი დამოკიდებულება შესანიშნავად ჩანს, ასევე, ერთ ხალხურ ლექსში:

ბატონი მეფე გვიცოცხლოს, ერეკლე ჩვენი გმირიო,
მტერს წინ წაუვა გულადად, რაზმში იქნება პირიო,
უმისოდ ჩვენი ბიჭობა იქნება გასაჭირიო,
მტერი მოგვივა, დაგვხოცამს, როგორც ხოლვერა-ჭირიო
(ალიბეგაშვილი 1992: 298).

საქართველოს გაერთიანების მიზნით ერეკლე მეორე ებრძოდა სათავადოების სისტემას. ფეოდალები განკერძოებისაკენ მიისწრაფოდნენ და მეფეს ეცილებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და სათავადოს მართვაში. ამ მიზნით ზოგჯერ მშობელ ქვეყანას მტრებსაც კი აოხრებინებდნენ. მაგალითად, გივი ამილახვარი მეფეს ლეკ-ოსმალთა ჯარებით შეებრძოლა. ეს ბრძოლები ხალხური პოეზიის თემად იქცა:

„ეს გივი ამილახვარი, მტრისაგან შეგვეშალაო“...
„ჩვენი ფრანგული ამოწვდა, ამილახორის ბრალია“...

(ფოლკლორის სექციის მასალა, №1706).

რეაქციონერ ქართველ თავადთა შორის იყო ვახტანგ VI-ის ძმისშვილი, ანტონ კათალიკოსის გამაჰმადიანებული ძმა აბდულა-ბეგი, რომელმაც სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით სამშობლოში შემოიყვანა თათრის, დაღესტნისა და ავღანისტანის ჯარები. ერეკლე მეფემ სასტიკად დაამარცხა ისინი. ხალხმა მასზე შექმნა სატირული ლექსები:

აბულაძე შეიკაზმა ჯაჭვითა და ჯინჯილითა
და საომრად ჯარი მიჰყავს ნალარა და წინწილითა...
მეფე ერეკლე უყურებს, თავს ვერ იჭერს სიცილითა...
დაჯე აბულ, პური ჭამე, რაზე კვდები შიმშილითა,
რალა პური მეკითხება, ფერდი მტკიცა სირბილითა...

რეაქციონერი თავადების წინააღმდეგ არის მიმართული, აგრეთვე, ლექსები: „ერეკლეს შემოუთვლია“, „ერეკლე ბატონიშვილი“, „უსუფ ფაშამ უთხრა მამას“ და სხვა. 1865 წელს თავადებმა მეფის წინააღმდეგ შეთქმულება-ტერორი მოაწყვეს. შეთქმულები გასცა სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფეიქრიშვილმა. დარბაზის სხდომამ მეთაურები – თავთაქიშვილი, ამილახვარი და მისი შვილი დასაჯა. ეს ფაქტი გადმოცემულია ლექსში: „მეფე ერეკლეს მოღალატენი“.

ამ მხრივ საყურადღებოა, აგრეთვე, ლექსი „ბაქარიანთა დაღევა“. აქაც თავადები შეთქმულებას უწყობენ ერეკლეს, რათა რუსეთში მყოფი ბაქარის ძმა გაამეფონ.

ბატონყმური ურთიერთობის გამწვავებას, ყმების გაყიდვასა და მეფის გამოსარჩლებას გლეხებისადმი ასახავს ლექსები და გადმოცემები მაია წყნეთელის, თამრო ვაშლოვანელის, თინა წავკისელის შესახებ.

ხალხის მეხსიერებას კარგად შემოუნახავს 1770 წლის ცნობილი ასპინძის ომის მომენტები, ქართველთა ბრძოლის საუკეთესო საგმირო ეპიზოდები. ასპინძის ომთან არის დაკავშირებული ლექსები და გადმოცემები: „შენ ერეკლე ჰოქმიანო“, „ვინ მოკლა კოხტა ბელადი“, „ძალიკა ხიმაკაურის ხმალი“, „დილოიდის დასაჩუქრება“.

ერთ-ერთი რეალური საფუძველი ერეკლე მეორის ციკლის ლექსებისა და გადმოცემებისათვის არის კრწანისის ომი. ლექსებში: „ყეენი რომ წინ წამოდგა:“, „აღა-მაჰმად-ხან“, „ქალაქის არევა“, „შუშის ხანს შემოუთვლია“, „ეს რა საქმე დაგვემართა“ მძაფრი სახეებით არის გადმოცემული მტრის მიერ თბილისის აოხრება, დარბევა, გადაწვა და ტყვეების გარეკვა.

ქართული ზეპირსიტყვიერების რეალიებში (ლექსებსა და გადმოცემებში) ვეცნობით საქართველოს ორიენტაციის საკითხს. კახელი მთქმელის გადმოცემით, საქართველოს რუსეთთან შეერთება თათრების შემოსევის შედეგად არის მიჩნეული: „ერეკლე მეფე შავნაზადას ყოფილა, როცა მტერი შემოსევია ქალაქს. მეფეს უშიშვლია ხმალი, მაგრამ ნაზირ-ვეზირებს ურჩევიათ თავი დაენებებია ბრძოლისათვის,

რადგანაც მტერი მრავალრიცხოვანი ყოფილა. მეფე მაშინ წავიდა რუსეთს, გადასცა ასი წლით საქართველო“ (სიხარულიძე 1949: 184).

აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული ლექსები ერეკლეს გარდაცვალებაზე, ასევე, ეროვნული გმირის გლოვის შესახებ. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ლექსებზე: „ვერ გაიგეთა ქართველნო“ და „ღმერთო რა დიდი ბრალია“. ქართველი ხალხის გულის ტკივილი, მწუხარება და აუნაზღაურებელი დანაკლისი ასახულია გოდებაში:

ღმერთო, რა დიდი ბრალია არევა ქალაქისაო,
მეფის ერეკლის სიკვდილი, დაქცევა ხმელეთისაო
(იქვე, გვ. 181).

თითქოს ბოძი გამოეცალა და ხერხემაღში გადატყდა საქართველო პატარა კახის გარდაცვალების შემდეგ. ამიტომაც ბრძოლისაკენ ერთგვარ უიმედო მოწოდებას გამოხატავს ეს ლექსი:

აღარ გვყავს მეფე ერეკლე, მთაში ვაჟკაცო ხმლიანო,
ბარად ჩამოდი საამოდ, გზაში არ დაიგვიანო
(ალიბეგაშვილი 1992: 299).

ქართველი ხალხი გლოვობდა თავის საყვარელ და საამაყო მეფეს, მეფეს, რომელმაც თავისი არცთუ ხანმოკლე სიცოცხლე სამშობლო ქვეყნის დაცვისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაატარა. აკი, ამბობს კიდევ ხალხი მის შესახებ „შამაუვლია ხმელეთიო“ ლექსში: „მეფე ერეკლე“:

მაღლის მაღალსა მთაზედა კურდღლისა სისხლი
მდგარიყო,

ჩამოჩვეულა არწივი, უსვამს და ვერა მძღარიყო,
ერეკლე ბატონიშვილი ნაურვალ ცხენზე მჯდარიყო,
შამაუვლია ხმელეთი, მაშინდა ჩამომხდარიყო (იქვე).

მთელმა საქართველომ დაიტირა ერეკლე მეფე – „საქართველოს უკანასკნელი დიდება“. მისი დაკარგვით გამოწვეული ურვა-წუხილი ხალხმა ღრმა გრძნობით გამთბარი ლექსებით გამოხატა. ესენია: „ერეკლეს გლოვა“, „მეფე ერეკლე“, უსათაურო მთიულური ლექსი, რომელიც

იწყება ასე: „ვაჰმე ჩვენს ძველსა დევ-გმირებს და დიდ ბატონსა ერეკლეს“ და სხვ.

პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების გლოვა-კაეშანი არის გამოხატული ლექსში „ვერ გაიგეთა, ქართველნო“. მთქმელმა ამ ლექსში ერეკლეს გარდაცვალება საქართველოსთვის რკინის კარების – საიდუმლო დამცველის ჩამოხსნად გაიაზრა:

ვერ გაიგეთა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარიო!
მზე ჩაგვივიდა უკულმა, ჩავარდა შუა ზღვაშიო;
მთვარე დაბნელდა, გაშავდა, აღარ გვინათებს ცაშიო...
ატირდნენ წვრილნი ვარსკვლავნი, ცამაც დაშალა ნამიო,
არ გვიფრიალებს დროშები, აღარც ჭექს ზარბაზანიო.
ერეკლეს სიკვდილ ვინა სთქვა, გაუხმეს ენის ტარია;
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა, მმა არის განაყარია,
შვილებს დაუგდო ბეგთარი, ფხასისხლიანი ხმალია...
(ქართული ხალხური სიტყვიერება 1970: 251).

ამავე ლექსის ვარიანტის მიხედვით ვეცნობით ერეკლე მეფის ანდერძს:

მანამდე ვიყავ ცხენს ვიჯექ, მივსძრენ და მოვსძრენ
ზღვანია,

ახლა თქვენ გაგიწირეთ ფხასისხლიანი ხმალია,
შეინახოდით შვილებო, ქალაქის მეიდანია,
ერთმანეთს ნუ უღალატებთ, მტერმა არ გთხაროთ

თვალია (იქვე).

ქართველი ხალხის დიდი მოამაგე, ქომაგი, პატრიოტი, მსოფლიოში სახელგანთქმული სტრატეგი, ბრძოლაში უშიშარი, შეუდრეკელი, სულით მაღალი, „მეფეთა მელნახე“, სულგრძელი და კეთილშობილი, ეროვნული გმირი, საქართველოს მეფე – ასეა მეფე ერეკლე (პატარა კახი) დახასიათებული როგორც ისტორიულ წყაროებში, ასევე ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აკაკი კრებული 1898 – აკაკი კრებული, №12, №13, თბილისი, 1898.

ალიბეგაშვილი 1992 – ალიბეგაშვილი გ., ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები, თბილისი, 1992.

ივერია 1890 – გაზეთი „ივერია“, №255. თბილისი, 1890.

კრებული 1872 – კრებული, №8. თბილისი, 1872.

სიხარულიძე 1942 – სიხარულიძე ქს., ქართველი ხალხის ბრძოლა ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით. თბილისი, 1942.

სიხარულიძე 1949 – სიხარულიძე ქს., ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება. თბილისი, 1949.

უმიკაშვილი 1937 – უმიკაშვილი პ., ხალხური სიტყვიერება, I. ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით. თბილისი, 1937.

ფოლკლორის სექციის მასალა, №1706; №13572.

ქართული ხალხური სიტყვიერება 1970 – ქართული ხალხური სიტყვიერება, ქს. სიხარულიძის რედაქციით. თბილისი, 1970.

ქიქოძე 1943 – ქიქოძე გ., ერეკლე მეფის ომები. თბილისი, 1943.

შანიძე 1931– შანიძე ა., ქართული ხალხური პოეზია, 1, ხევსურული, „სახელგამი“, ტფილისი, 1931.

Nora Nikoladze-Lomsianidze**KING EREKLE
ACCORDING GEORGIAN FOLKLORE**

Summary

The given work depicts King Erekle's (little Kalhi) crucial role in Georgia's political and social life. The king had tragic fate, as he devoted himself to fighting against outer enemies reactioner lords. In Georgian folklore King Erekle is regarded as a holy, pious and numinous creature. In oral folklore there are a lot of rhymes, myths, legends and tales about him.

The cycle of Erekle II is of diverse nature. The actual points are: king's numerous battles, against inner and outer enemies, in order to unify Georgia; aggravation of serfdom; his support of laborers; contest among lords for the throne; foreign orientation affairs; Russian invasion; King Erekle's strategic talent; democracy; humanism etc.

The work contains proper patterns (folklore, myths, legends, tales).

მერაბ ურუშაძე

„ლილის ტალღა“

მთელი ჩვენი სამყარო სხვადასხვა ძირითადი ველების ვიბრაციისაგან შედგება. ვიბრაცია და რეზონანსი ყველა ფიზიკური სხეულის ურთიერთქმედების მექანიზმი და ადამიანის ცნობიერების განუყოფელი ნაწილია. სამყაროში ყველაფერი მუდმივად მოძრაობს, ირხევა და ვიბრირებს. საგნები და ობიექტები, რომლებიც ჩვენ უძრავად მიგვაჩნია, რეზონირებენ სხვადასხვა სიხშირეზე. რეზონანსი მოძრაობის სახეობაა, რომელიც ხასიათდება ობიექტის ორ მდგომარეობას შორის რხევით, ანუ ის საგნის ან ობიექტის ბუნებრივი სიხშირეა.

არსებობს ფენომენი, როდესაც სხვადასხვა საგნებისათუ პროცესების ვიბრაცია ერთმანეთს გადაკვეთს. გარკვეული დროის შემდეგ ისინი სინქრონიზაციას ახდენენ და ხშირად ვიბრაციას იწყებენ ერთი და იმავე სიხშირით. ეს მოვლენა ცნობილია, როგორც სპონტანური თვითორგანიზების ფენომენი. ამ ფენომენის შესწავლას მივყავართ სიღრმისეულ გამოკვლევამდე ცნობიერების ბუნებისა და ზოგადად სამყაროს შესახებ.

მათემატიკოსი სტივენ სტროგაცი (კორნელის უნივერსიტეტი) 2003 წელს გამოცემულ თავის წიგნში „სინქ“ გვაწვდის სინქრონიზაციის სხვადასხვა მაგალითს ფიზიკიდან, ბიოლოგიიდან, ქიმიიდან და ნეირომეცნიერებიდან. ავტორი ამ ფენომენს „სინქრონს“

(სინქრონიას) უწოდებს და შემდეგი მაგალითებით ხელმძღვანელობს:

- გარკვეული სახეობის მრავალი ციკინათელა იწყებს სინქრონულად ციმციმს, რაც ტრადიციული მიდგომებით ძნელი ასახსნელია;

- ადამიანის ტვინში ფართომასშტაბიანი ნეირონების სტიმულაცია შეიძლება მოხდეს კონკრეტულ სიხშირეზე; ძუძუმწოვრების ცნობიერება, როგორც წესი, დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ნეირონების სინქრონიზაციასთან;

- ლაზერი წარმოიქმნება, როდესაც ერთი და იმავე სიმძლავრისა და სიხშირის ფოტონები ერთად გამოიყოფა;

- მთვარის ბრუნვა ზუსტად სინქრონიზებულია დედამიწის ორბიტასთან ისე, რომ ჩვენ ყოველთვის ერთსა და იმავე მხარეს ვხედავთ (Steven Henry Strogatz https://en.wikipedia.org/wiki/Steven_Strogatz).

ამგვარად, რეზონანსი ჭეშმარიტად უნივერსალური ფენომენია, რომელიც შესაძლოა თვითორგანიზაციის იდუმალ ტენდენციად მივიჩნიოთ. ეს ყველაფერი ეხება როგორც ვიბრაციის ტიპებს, ასევე საერთო ვიბრაციას.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოსახლეობის მანიპულირების და გონების კონტროლის ტექნოლოგიამ არნახულ მასშტაბს მიაღწია. მამხილებელთა და ე.წ. „ინსაიდერთა“ გახმაურებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამერიკის საიდუმლო მთავრობამ ზემოხსენებული ტექნოლოგიების მეცნიერულ გამოკვლევებსა და მათ დანერგვაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

გონების კონტროლის ერთ-ერთი ამგვარი ტექნოლოგია, რომლითაც მთავრობას ან დაინტერესებულ პირთა ჯგუფს შეუძლია აკონტროლოს და ზეგავლენა მოახდინოს მოსახლეობაზე, „ლილის ტალღის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

„ლილის ტალღა“ ეწოდება დაბალანსებულ ორმხრივი იმპულსების წყვილს და წარმოადგენს გადამტან ტალღას, რომელიც გვერდის უვლის გონების ქვეცნობიერი დაცვის სისტემებს. ზემოხსენებული ტალღა პროფ. ჯონ კანინგემ ლილიმ 1959 წელს აშშ-ის ჯანმრთელობის ეროვნულ


ინტიტუტში¹ მუშაობის დროს აღმოაჩინა (John Cunningham Lilly https://en.wikipedia.org/wiki/John_C._Lilly). პროფესორმა დაადგინა, რომ ტალღის სიგრძის გარკვეული ფორმა ზეგავლენას ახდენდა სუბიექტის ტვინის წყლის მოლეკულებზე, რაც არსებითად ცვლიდა ექსპერიმენტის ობიექტის აზროვნებას, ემოციებსა და გრძნობას.

მეცნიერული გამოკვლევის მიზანი მდგომარეობდა ისეთი ტალღის ფორმის კვლევაში, რომლითაც ცხოველების ტვინში ჩანერგილი ელექტროსადენების გამოყენებით შესაძლებელი იქნებოდა ტვინის იმპულსის სტიმულირება. გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ტალღის სიხშირე, მათ შორის 60 cps-ი (Cycles per second – ციკლი წამში). ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ობიექტის ტვინზე სპეციფიკური სიხშირეების ინტენსიური გამოყენება შეუქცევად ცვლილებებს ახდენდა. ტვინში გამავალი ელექტროიმპულსი მინიმუმ ორი სახის დაზიანებას იწვევდა: თერმულსა და ელექტროლიტურს.

ტვინის ქრონიკული, ინტენსიური სტიმულაციის დროს ტექნიკური პრობლემა ნეირონული სისტემის აღზნების ისეთი ზღურბლის მიგნება იყო, სადაც სტიმულაცია ტვინის დაზიანების გარეშე მოხდებოდა. აღმოჩნდა, რომ ამ შედეგის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ტალღების (სიხშირეების) დიაპაზონისა და დროის მონაკვეთის სწორი არჩევით.

გამოკვლევის პირველ ეტაპზე ცალმხრივი, ერთი მიმართულებით მოძრავი ელექტრო იმპულსების სიხშირეები, რომლებიც გამოიყენებოდა ნეიროფიზიოლოგიასა და ნეიროქირურგიაში, აზიანებდა ტვინის ნეირონებს. დოქტორ ლილიმ შეიმუშავა ორმხრივად მოძრავი ელექტრონული ტალღის ფორმა, რომელიც სიხშირეს ჯერ ერთი, ხოლო მცირე ინტერვალის შემდეგ, საპირისპირო მიმართულებით აბალანსებდა. ამ ტალღას ეწოდა დაბალანსებული ორმხრივი პულსის წყვილი, იგივე ლილის ტალღა.

¹ National Institutes of Health (NIH). <https://www.nih.gov/>



დაბალანსებული პულსის წყვილით სტიმულირებული ტვინის მიკროსკოპულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ტვინის ნეირონული ქსელების დაზიანება არ ხდება ისეთ პარამეტრებზე, როგორიცაა: დადებითი პულსის ხანგრძლივობა (ზევით) 34 $\mu\text{წმ}$. (მიკროწამით) და უარყოფითი პულსის ხანგრძლივობა (ქვევით) 28 $\mu\text{წმ}$.

იმისათვის, რომ გარკვეულმა სიხშირემ ტვინში წყლის მოლეკულების ვიბრაცია გამოიწვიოს, ტვინზე ელექტროდების იმპლანტაცია საჭიროებას აღარ წარმოადგენს, როგორც ეს მეცნიერების უმრავლესობას მიაჩნია. ეს პროცესი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ტალღის ფორმით, რომელსაც შეუძლია შეაღწიოს თავის ქალაში. მაგალითად, რადიოტალღები, რომლის სიხშირეც 40 ჰერცია, ტვინში წყლის მოლეკულების ვიბრაციას იწვევს 40 ჰერცზე, რომლის შედეგადაც ტვინის დანარჩენი ელექტრონები რეზონირებას იწყებენ ამ სიხშირეზე. ასე რომ, ელექტრომაგნიტური და აკუსტიკური ტალღების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ტვინის ნეირონების სტიმულირება დისტანციურადაც. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ტალღა არ არის ორფაზიანი, მას შეუძლია ტვინის ნეირონების დაზიანება, რამაც შესაძლოა სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ელექტრომაგნიტური გამოსხივება არა მხოლოდ ტვინში არსებული წყლის მოლეკულების სტიმულირებას ახდენს, არამედ ზემოქმედებს სისხლში არსებულ შაქარზეც. შესაძლოა, მოლეკულის სტრუქტურაში არსებული რკინა, რომელიც ტვინის ნეირონებსა და სხვადასხვა ელემენტებს აერთიანებს, ასევე რეზონანსში მოვიდეს სპეციფიკურ სიხშირესთან.

თუ სპეციფიკური სიხშირით მიზანში ამოღებული მოლეკულა იწყებს ამ სიხშირეზე რეზონირებას, მოლეკულა შეიძლება გასკდეს; შაქარი კრისტალია და მისი სტრესირება, დამსხვრევა ან დეფორმაცია გამოყოფს ელექტრო და ელექტრომაგნიტურ მუხტს. ეს მოვლენა ტრიბულუმინესცენციის სახელწოდებითაა ცნობილი (Triboluminescence <https://en.wikipedia.org/wiki/Triboluminescence>).

გონებისა და ტვინისათვის ფეთქებადი შაქრის კრისტალის ეფექტი მეტად საზიანოა, იწვევს უკიდურეს დაბნეულობას, თავბრუსხვევას, ცნობიერების დაქვეითებასა და აპათიას (აქვე შესაძლებელია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ დღესდღეობით მსოფლიოში თამბაქოს წინააღმდეგ მიმდინარე კამპანიის მიზეზი სწორედ მისი თვისებაა – მოახდინოს სისხლში შაქრიანობის სუპერ-რეგულაცია ნიკოტინის საშუალებით).

გარდა ამისა, არსებობს ტვინსა და სისხლში რკინის მოლეკულების შეწოვის სხვა ღრმა ეფექტები, რომლის დროსაც რეზონანსული მიზიდულობის საფუძველზე რკინის კონდენსაცია ხდება და ტვინში გროვდება. ეს იწვევს რკინის დამაგნიტებას, რომელიც ტვინის ზედა ნაწილისკენ მიისწრაფის; ამის შედეგად ხდება სისხლის მოზღვავება თავში და, რაც თავისთავად იწვევს უკიდურეს დაბნეულობას, თავბრუსხვევას და გონების დაკარგვას.

მაშასადამე, ლილის ტალღა დახასიათებულია როგორც ტვინის მოლეკულების მიზანმიმართული რეზონანსი. მის გამოყენებას შეუძლია ადამიანის გონებაში აღმრასნების მიერი ტვინის ტალღის ნიმუში – უარყოფითი/პოზიტიური ემოცია თუ აზრები; მას აქვს ფიზიკური მოძრაობების კონტროლის უნარიც. ასე რომ, „მაკონტროლებლების“ მიერ ტვინის წყლის მოლეკულებზე ელექტრომაგნიტური შეტევა ადამიანის

გონების დეგენერაციას იწვევს და საუკეთესო მეთოდია სასურველი მიზნების მისაღწევად.

ლილის ტალღების გამოვლენა, თუ მკვლევარმა იცის, ტალღის რა ფორმები უნდა მოძებნოს, სიგნალის წყაროსთან დაკავშირებული სპექტრის ანალიზატორის საშუალებითაა შესაძლებელი. ჩვენს სატელევიზიო სიგნალშიც მრავალი „საინტერესო მასალის“ აღმოჩენა შეიძლება, მათ შორის ლილის ტალღისაც, რომელიც სიმბიოზშია დღევანდელ ჩვენს ციფრულ ტელე-რადიო მაუწყებლობასა და უკაბელო კავშირის (wi-fi) ქსელებთან.

ლილის ტალღის სიხშირე ძირითადად უკიდურესად დაბალ და ზოგჯერ ულტრა დაბალი სიხშირის დიაპაზონში გვევლინება. მას მართლაც რთული ფორმა აქვს, რადგან მას ესაჭიროება ტვინის გარკვეულ მოლეკულებთან ურთიერთქმედება, რომელთაც საკუთარი რეზონანსული სიხშირე გააჩნიათ. საინტერესოა ის გარემოება, რომ ექსტრემალურად დაბალი სიხშირისა (ELF –extremely low frequency, 1Hz-დან 300Hz-მდე) და ულტრა დაბალი სიხშირის (ULF – ultra low frequency – 300 Hz-დან 3 KHz-მდე) დიაპაზონები, ისევე როგორც 10 მეგაჰერცი, კლასიფიცირებულია როგორც „კონტროლირებადი“ სიხშირეები.

ამრიგად, ლილის ტალღა შეიძლება საიდუმლო სამხედრო იარაღის რიგს მივაკუთნოთ, რომელიც „სიგიჟის სიხშირის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

პროფ. ჯ. ლილის მეგობარმა პატრიკ ფლენეგანმა განაცხადა, რომ გონების კონტროლის ტექნოლოგიის რეალიზება შესაძლებელია 40 ჰერცი სიხშირის ტალღების მეშვეობით და არ საჭიროებს ელექტროდების გამოყენებას. ფლენაგანი ამტკიცებდა, რომ აშშ-ის მთავრობამ მაშინვე გადაწყვიტა ამ ტექნოლოგიის იარაღად გამოყენება.

ა. ოსტოჯიკი თავის წიგნში „დავიწყების დასასრული“ (2018) მოგვითხრობს 1992 წელს ლოს ანჯელესში, კალიფორნიის შტატში (აშშ), მომხდარი მასიური არეულობების შესახებ, რომლის დროსაც პირველად გამოყენებულ იქნა ფსიქოტრონული იარაღი, რამაც

გონებაამღვრეული ბრბო შემზარავი ძალადობის იარაღად აქცია (იხ. End of Oblivion; The Great Deceit and Why We Need To Reclaim Our Spiritual Evolution, Aleksandar Ostojic, 2018; <https://www.amazon.com/End-Oblivion-Reclaim-Spiritual-Evolution/dp/1775100936>).

მელისა და აარონ დიუკების თანახმად, ლილის ტალღა მხოლოდ აისბერგების მწვერვალია (Melissa and Aaron Dykes Thuthstream Media). წყვილი ამტკიცებს, რომ პიროვნებამ, სახელად ჰენდრიკუს გ. ლუსმა, დააპატენტა ექსტრაორდინარული გამოგონება სახელწოდებით „მონიტორებიდან ელექტრომაგნიტური ველებით ნერვული სისტემის მანიპულირება“ (იხ. Hendricus G. Loos <https://patents.google.com/patent/US6506148B2/en>). საპატენტო დოკუმენტებში ავტორი მოგვითხრობს, რომ გამოგონებას შეუძლია შეცვალოს ადამიანის ემოციური მდგომარეობა მათ გარშემო ელექტრომაგნიტური ველების ცვალებადობით, ისეთი მოწყობილობების საშუალებით, როგორიცაა ტელევიზორის ეკრანები და კომპიუტერის მონიტორები. ლუსი წერს: „სუბიექტის ნერვული სისტემის მანიპულირება შესაძლებელია ტელევიზორის ან ახლომდებარე კომპიუტერის მონიტორზე გამოსახულების ცვლილებით“ (Thuthstream Media). შესაძლოა, ამ გამოგონების ყველაზე საშინელი ასპექტი არის ის, რომ გონების კონტროლის ამ ტექნოლოგიის გამოყენება სუბიექტმა ვერც კი გააცნობიეროს და ვერც კი მიხედეს, მის თავს რა ხდება.

მელისამ და აარონ დიუკებმა ასევე გამოავლინეს ტვინის რუკების ტექნოლოგია, რომელიც, მათი აზრით, დავოსის ქსელის მაკონტროლებლების პრიორიტეტია (იხ. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი https://en.wikipedia.org/wiki/World_Economic_Forum). Truthstream Media-ს გუნდის მოსაზრებათა მიხედვით, ამ ტექნოლოგიას შეუძლია ადამიანის ტვინის გაშიფვრა – არსებითად ეს ნიშნავს, რომ ის მომხმარებლებს მისცემს ძალას წაიკითხოთ სხვა ადამიანების აზრები. „ეს განსაკუთრებით შემაშფოთებელია“ – ამბობენ მელისა და აარონ დიუკები, „რადგან ამ დროისთვის კანონმდებლობაში არ არსებობს გონებრივი კონფიდენციალურობის სამართლებრივი დაცვის მექანიზმი“. ეს ნიშნავს იმას, რომ სხვების აზრების ფარული მონიტორინგი სრულიად ლეგალურია.

შესაძლოა, ყველაზე შემაშფოთებელი გონების კონტროლის ტექნოლოგია, რომელსაც აშშ-ის მთავრობა იყენებდა, გამოავლინა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა თანამშრომელმა დოქტორ რობერტ დუნკანმა (Dr. Robert Duncan <https://podcasts.apple.com/us/podcast/160-harvard-scientist-exposes-cia-mind-control-weapons/id1441238966?i=1000585553460>). ის ამტკიცებდა, რომ ერაყის ომის დროს აშშ-ის არმიამ გამოიყენა გონების კონტროლის ტექნოლოგია კოდური სახელწოდებით „ღვთის ხმა“. დუნკანის თქმით, ტექნოლოგია მტრის მეზრძოლების ტვინში ხმებს აღძრავდა და უბრძანებდა, მათ იარაღი დაეყარათ და აშშ-ის ჯარს დაეხმობოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დუნკანმა არ დააკონკრეტა, თუ რომელი ორგანიზაცია იყო პასუხისმგებელი ამ პოტენციურად საშიში გამოგონების შექმნაზე, ბევრი ეჭვობს, რომ ის შეიქმნა ორგანიზაცია „დარპა“-ს წიაღში (იხ. Defense Advanced Research Projects Agency (DARPA)).

ოფიციალურად ამ ორგანიზაციამ არაერთხელ აღიარა, რომ სამხედრო გამოყენების კონტექსტში დაინტერესებულია გონების კონტროლის ტექნოლოგიით.

სავარაუდოა, რომ კონტროლის კიდევ ბევრი ფარული საშუალება არსებობს, რომლებსაც ისეთი ინსტიტუციონალური დაწესებულებები იყენებენ, როგორიცაა ე.წ. მსოფლიო მთავრობის უხილავი ადმინისტრაცია. სამწუხაროდ, ეს ტექნოლოგიები ფართო საზოგადოებისთვის უცნობია და მათი გამოყენების შემთხვევაში დასჯის ბერკეტები კანონმდებლობაში არ არსებობს.

ამრიგად, ლილის ტალღა უაღრესად საშიში იარაღია, რადგან მას აქვს უნარი გააკონტროლოს ტვინის ქსოვილის ელექტრონული იმპულსები და მოახდინოს ტვინის მოლეკულების მიზანმიმართული რეზონირება. ლილის ტალღა მაღალტექნოლოგიური იარაღია, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის ბიოველზე – ფსიქიკაზე, ფიქრებზე, ემოციებზე, განწყობასა და ქცევაზე, რაც, საბოლოო ჯამში, მას ადვილად მართვად ბიორობოტად აქცევს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

<https://blogs.scientificamerican.com/observations/the-hippies-were-right-its-all-about-vibrations-man/>

<http://www.disclose.tv/mind-control-technology-lilly-wave-is-far-advanced-beyond-what-we-know-314892>

<https://www.popsci.com/technology/article/2010-09/darpa-wants-mind-control-keep-soldiers-sharp-smart-and-safe/>

<https://www.scribd.com/document/357816823/Mind-Control-Technology-Lilly-Wave-is-Far-Advanced-Beyond-What-We-Know>

<https://thebridgelifeinthemix.info/technology/the-lilly-wave-and-psychotronic-warfare/>

Merab Urushadze

LILLY WAVES**Summary**

The main goal of the research is to give a detailed description of Lilly Waves and define their detrimental effect on the human brain. Their impact revealed the true cause of the individual's irrelevant behavior, thoughts and actions controlled by certain alternating electromagnetic frequencies from distance. Therefore, Lilly Waves are considered to be an electromagnetic psychotronic weapon directed against human beings.

ნანა ფირცხალავა

მასალაბი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შქველენი მოსახლეობის ისტორიიდან

ძველ ბერძენ ისტორიკოსთა და გეოგრაფთა შორის, რომელთაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ქართველი ტომების შესახებ ცნობები მოეპოვებათ, ერთ-ერთი **ჰეკატეოს მილეტელია** (დაახ. 549-472 წწ.), იმ დროის დიდი საზოგადო მოღვაწე, „გენეალოგიის“ და „დედამიწის აღწერის“ ავტორი.

„დედამიწის აღწერაში“ მის ცნობათა შორის ყურადღებას იპყრობს იმ ქართველ ტომთა სია, რომელიც ძვ. წ. VI ს. ბერძენთათვის იყო ცნობილი. ესენია: მელანქლენები, კორაქსები, კოლები, მოსხები, ხოიები, ბექეირები, დიდერები, მაკრონები, ტიბარენები და ხალიბები. ჰეკატეოს მილეტელმა იცის კავკასიონის ქედი, მისი ფერდობი – კოლების მთები და მდინარე ფასისი. მელანქლენები ცხოვრობდნენ დღევანდელ მდ. ზზიფის ჩრდილოეთით, კორაქსები – ზზიფის რაიონსა და სოხუმს შორის, ხოიები – ქ. რიზეს მახლობლად, ბექეირები – რიზეს რაიონში, დიდერები (იგივე ბიდერები) – მდ. ჭოროხის სამხრეთით, ტრაპეზუნტის რაიონში, მოსინიკები – ქ. კერასუნტსა და ფარნაკიის მიდამოებში, ტიბარენები – ქ. კოტიორასთან (თანამედროვე ქ. ორდუ, თურქეთი), მის აღმოსავლეთით, ორი დღის სავალზე.

ამრიგად, ჰეკატეოს მილეტელი შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე ასახელებს ქართველ ტომებს, რომლებიც, მკვლევართა

აზრით, დასავლურ-ქართულ, ანუ ჭანურ-მეგრულ, ტომებად არიან მიჩნეულნი. მოსინიკების ტერიტორიაზე დასახელებული ქალაქი ქორაღესი გაიგივებულია თანამედროვე ქ. გირესუნსა (ბერძ. კერასუნტი) ან ქ. ფარნაკიასთან.

ქართველ ტომთა შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პირველი დიდი ისტორიკოსი, წარმოშობით იონიელი, გაერთიანებული ელინური სამყაროს წარმომადგენელი **ჰეროდოტე** (484-425 წწ). მისი თანამედროვე ქართველი ტომები იყვნენ: კოლხები, სასპერები, ხალიბები, მაკრონები, მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მარები. კოლხთა თავდაპირველ სამშობლოდ მას ეგვიპტე მიაჩნია, საიდანაც ისინი სესოსტრისის ლაშქრობის დროს მოვიდნენ ძვ. წ. XIII საუკუნეში, როცა ეგეოსის ზღვის აუზში ეთნოსთა დიდი მიგრაცია მიმდინარეობდა.

ქართველი ტომების შესახებ ჰეროდოტეს ეთნოგრაფიული ხასიათის საინტერესო ცნობებიც მოეპოვება. ის მოგვითხრობს დარიოსის მარცხიანი ლაშქრობის შესახებ ჩრდილოეთ შავი ზღვის სპირეთში მცხოვრები სკვითების წინააღმდეგ; ჩამოთვლის კავკასიონის ქედს, მდინარეებს – ფასისს, არაქსსა და ჰალისს, ევქსინის პონტოსა და კასპიის ზღვას; კოლხიდას ძველი სახელით, აია–თი მოიხსენიებს; გვაწვდის ცნობებს ქართველ ტომთა სხვა ხალხებთან ურთიერთობის შესახებ: ტროას ომში ბერძნების წინააღმდეგ ერთად იბრძვიან ტროელები და კოლხები... მცირეაზიელ, კროსოსის მორჩილებაში არაქართველ ტომებთან ერთად ხალიბებიც იმყოფებიან... აქემენიდთა სახელმწიფოს XVIII-XIX სატრაპიებში სხვებთან ერთად ქართველი ტომებიც (მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მარები) არიან მოხსენიებულნი; აღწერილია აგრეთვე სპარსთა მეფის, ქსერქსეს ჯარში მყოფი ქართველი ტომების (ხალიბები, მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მარები, კოლხები, სასპერები) აღჭურვილობა...

ქართველ ტომებს ასახელებს წარმოშობით ათენელი, სოკრატეს მოწაფე, ბერძნული საისტორიო პროზის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი **ქსენოფონტი** (435-355 წწ): ქარდუხები, ტაოხები, ხალიბები, ხალდები, ფასიანები,

სკვითინები, მაკრონები, კოლხები, დრილები, მოსინიკები, ტიბარენები, პესპერიდები, კოიტები. იგი ახასიათებს ამ ტომებს, განმარტავს მათ სახელწოდებებს, უთითებს მათ საცხოვრისსა და ცხოვრების წესს, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს კოლხების მიმართ.

კოლხების შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის სახელგანთქმული ბერძენი ექიმი, მეცნიერული მედიცინის ფუძემდებელი **ჰიპოკრატე** (460-356 წწ.). ფასისელების შესახებ იგი წერს, რომ არიან ტანმაღლები, მსუქნები და ჩიყვით დაავადებულნი. სავარაუდოდ, მან ნახა სწეული კოლხები, რომლებიც მასთან, როგორც ექიმთან, რჩევებისთვის მივიდნენ...

კავკასიისა და სკვითიის ისტორია-ეთნოგრაფიის შესახებ თხზულება „ბარბაროსთა ზნე-ჩვეულებები“ ჰქონია ბერძნული კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენელს, უდიდეს ბერძენ ფილოსოფოსს **არისტოტელეს** (384-322 წწ.). მის ცნობათა ერთი ნაწილი ეთმობა პონტოს იგვრლივ მცხოვრებ ქართველ ტომთა, აქაელთა და ჰენიოხთა დახასიათებას. მან კოლხები დაახასიათა როგორც მაშინდელ მსოფლიოში, კოლხეთის მეფე აიეტის დროს მცხოვრები სიმდიდრით განთქმული ხალხი.

კოლხები, სინდები, ტავრები, კერკეტები, სავრომატები მოხსენიებულნი არიან ბიზანტიელ ღვთისმეტყველთან, ფილოსოფოსსა და მწერალთან **ნიკოლოზ დამასკელთან** (ძვ. წ. 64 – ახ. წ. 14 წწ.), მოღვაწესთან, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა კოლხთა დაკრძალვის წესზე. მათ შესახებ ავტორს კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა აქვს – კოლხთა ქვეყანაში ქიოსელების დასახლებასთან დაკავშირებით.

კოლხების შესახებ საინტერესო მასალები შემოგვინახა ბერძენმა ისტორიკოსმა **ფლავიუს არიანემ** (დაახ. 95-175 წწ.). იგი 131-137 წლებში კაპადოკიის მმართველი იყო და ადმინისტრაციულ ფუნქციებთან ერთად ევალებოდა იმპერიის საზღვრების დაცვაც. ამ მიზნით 131 წლის ახლო ხანებში, იმპერატორ ადრიანეს დავალებით, მან მოიარა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და იმპერატორს გაუგზავნა ანგარიში, რომელსაც მოგვიანებით „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ უწოდა.

ნაშრომის პირველ ნაწილში (სულ სამი ნაწილისაგან შედგება) იგი აღწერს შავი ზღვის სანაპიროს ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე, ასახელებს იქ მცხოვრებ ტომებს: სანებს, მაკრონებს, ჰენიოხებს, ზიდრიტებს, ლაზებს, სანიგებს, აფსილებს, აბაზგებს, იხსენიებს იქაურ „მეფეებს“, აღწერს სანაპიროზე მდებარე ციხე-სიმაგრეებს – აფსაროსს, ფასისს, სებასტოპოლისს, ასახელებს მდინარეებს... ეს ნაშრომი ძვირფასი წყაროა მე-2 საუკუნის კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა საკითხების შესასწავლად.

კოლხთა წეს-ჩვეულებებზე საინტერესო ჩანაწერები ჰქონიათ **კლავდიუს ელიანუსს**, **სკილაქს კარიანდელს**, **სკიმნოს ქიოსელს**, **დიონისიოს პერიეგეტს**, **სპარსეთის მეფე პავსანიას**, **დიოდორე სიცილიელს**, **დიონისიოს ჰალიკარნასელს** – წარმოშობით პონტოელ ბერძენს, **კლავდიოს პტოლემიოსს**, **პლუტარქეს**, **ლუკიანე სამოსატელს**, **რიტორ ალკიფრონს**, მე-2 საუკუნის ბერძენ სოფისტს...

ძველი ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის **სტრაბონის** „გეოგრაფიაში“ შემონახულია საინტერესო ცნობა დიოსკურიის, ზღვაში დაკარგული ქალაქის, სავაჭრო მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ძალიან ჰგავს ქალაქ ფასისს შესახებ გადმოცემას: „...დიოსკურია არის საწყისი იმ ყელისა, რომელიც კასპიისა და პონტოს შუაშია და საერთო სავაჭრო ადგილი მის ზემოთ და მახლობლად მცხოვრები ტომებისათვის. [ერთთა აზრით, ქალაქში] თავს იყრის 70 ტომი, ხოლო მეორენი ამბობენ, რომ 300-ით (ესენი არ ზრუნავენ სიმართლისათვის, ყველა [ტომი] განსხვავებულ ენაზე [ლაპარაკობს], რადგან დაფანტულობის გამო შეურევლად ცხოვრობენ თავისი სიამაყისა და ველურობის მიზეზით. უმეტესობა არიან სარმატები და ყველანი კავკასიელები არიან“.

სარმატების, ირანულენოვანი ტომების გარდა, რომლებმაც ძვ. წ. III-II სს. დაიპყრეს ჩრდილოეთ კავკასია, შავი ზღვისპირეთში ცხოვრობდნენ: აფსილები, ერთ-ერთი უძველესი აფხაზური ტომი, რომელსაც II ს. რომაელი მწერალი გაიუს სეკუნდუს პლინიუსი იხსენიებს, აფხაზები, აბაზები, რომელთა შესახებ ცნობებს გვაწვდის ასურეთის მეფის

ტიგლატფილესერ I-ის წარწერები. აგრეთვე ცხოვრობდნენ ზიდრიტები, ზიხები (იგივე ზიგები, ჯიქები...), რომლებიც პირველად ძვ. წ. II-I საუკუნეებში არიანესა და სტრაბონთან იხსენიებიან.

ერთ-ერთი უძველესი მკვიდრი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისა იყო ადიღთა წინაპარი კერკეტების ტომი, რომელთაც სტრაბონი, პლინიუსი, პტოლემე და იმ დროის სხვა ცნობილი გეოგრაფები იხსენიებენ. მათ ვაჟკაც, სინდებს კი ამაყ ტომებს უწოდებს „ორფიკული არგონავტიკა“.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ ლაზები, იგივე ჭანები, სახელგანთქმული ნაოსნები, ერთ-ერთი ქართველური ტომი, რომლებიც დღესაც ძირითადად თურქეთში, შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ და, მიუხედავად ისტორიული ძალდატანებითი გათურქებისა, მაინც შეინარჩუნეს ენა და კულტურა და დღესაც ერთ-ერთი ქართველური ენის – ზანურის ლაზურ (ჭანურ) დიალექტზე საუბრობენ.

ამავე რეგიონში ცხოვრობენ ქართველები, ერი, საქართველოს ძირითადი მოსახლეობა, რომლის საერთო ეროვნული, სამწერლობო ენაც ქართულია. ქართველური ტომების გაერთიანებას საფუძველი მეფე ვახტანგ გორგასალმა ჩაუყარა, შემდეგ იყო დასავლეთ საქართველოსა და ქართლის გაერთიანება, შემდეგ მეფეები – ბაგრატ III, ბაგრატ IV, დავით IV აღმაშენებელი, თამარი... შემდეგ მონღოლთა შემოსევა, ქვეყნის დაშლა და შემდეგ კვლავ გაერთიანება... ქართლ-კახეთის სამეფო, მტერი მეზობლები: თურქეთი, სპარსეთი, რუსეთი... 1918 წელი – დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა, 1991 წელი – კვლავ დამოუკიდებელი საქართველო...

შავიზღვისპირეთის მოსახლენი არიან ჩერქეზები, რომლებიც წერილობით წყაროებში მე-13 საუკუნიდან იხსენიებიან; ჯიქები (ანტიკური წყაროების ზიხები), ჰენიოხები, კოლხეთის სანაპიროს უძველესი დროიდან მოსახლე ტომი, რომელთაც მდ. ფასისის (ახლანდელი რიონი) შესართავთან, ქ. ტრაპეზუნტის მახლობლად უცხოვრიათ და რომელთა შესახებ ცნობებს გვაწვდიან ბერძენი და რომაელი ავტორები.

სამხრეთ შავი ზღვისპირეთში უცხოვრიათ: ხალი-ბებს – რკინის მდნობელებს, მოსინიკებს – დნობის ოსტატებს, ტიბარენებს, მარიანდინებს, პაფლაგონიელებს, კილიკიელებს, ლიკიელებს, ბითვინიელებს, ტროელებს, კარიელებს, პისიდიელებს, ჰალიდონებს (ალიზონებს), ალიბებს, ხალდებს, ჭანებს (ლაზებს), „ორფიკულ არგონავტიკაში“ ნახსენებ კავკონებს (მაკრონებს), აზაზებს, პაქტებს, არქტიებს, ლელიებს, სკვითებს, კიმერიელებს – ჩრდილოეთ კავკასიასა და შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხს, ლიკიის საზღვრებში მცხოვრებ ტომს – სოლიმებს, რომელთაც ჰომეროსი იხსენიებს და სახელოვანს უწოდებს, ზღვით შემოსარტყელ სილამინის სანაპიროზე მცხოვრებ ავანტიდებს, ტორეტებს, აქეელებს, კორაქსებს, კოლიკების ტომს, მელანქლენებს, გელონებს... ჩამოთვლილია მათი ქალაქები.

სტრაბონის ცნობით, სინდები მეოტისში ცხოვრობენ და მათ ქვეყანას სინდიკე ეწოდება; დასახელებულია გეოგრაფიული სახელწოდებები: კიმერიის ბოსფორი, რომელიც ევქსინის პონტოს (შავი ზღვა) და მეოტისს (აზოვის ზღვა) აერთებს... მოხსენიებულია სინდე-მეოტისში მდებარე მხარის – სინდიკეს მთა... განმარტებულია შავი ზღვის სხვა სახელწოდებაც, „უცხოთმოდულე პონტო“, რასაც მას მისი მიუწვდომლობისა და საშიშროების გამო უწოდებდნენ.

სტრაბონის „გეოგრაფიიდანვე“ ვიგებთ, რომ შავი ზღვის ამგვარი სახელწოდება დამოწმებულია **პინდარესთან**, ძველ ბერძენ ლირიკოს პოეტთან, საგუნდო პოეზიის (ქორიკის) ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელთან VI-V სს-ში. აქვე ნათქვამია, რომ სტრაბონის გადმოცემით, როცა იონიელებმა სანაპიროზე ქალაქები ააგეს და ზღვა კარგად გაიცნეს, მას „სტუმართმოყვარე ზღვა“ დაარქვეს, „შავი ზღვა“ კი ძველი ირანული სახელის თარგმანი ყოფილა.

„აბრაჰამ ორტელიუსს ეკუთვნის „სტუმართმოყვარე ზღვის“ (იგივე შავი ზღვა) რუკა, რომელზეც კოლხეთის ნაპირებთან შავი ზღვის ლოკალური სახელწოდებაა აღნიშნული – „Phasianum mare“, ანუ ფაზისის ზღვა. ეს აღნიშვნა ძველი კოლხების ცხოვრებაში შავი ზღვის განსაკუთრებულ როლსა და ადგილზე მიუთითებს. ამ

მოსაზრებას ისიც აძლიერებს, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ საუბარია კოლხთა მრავალრიცხოვანი ფლოტის შესახებ, რომელიც დიდი აფრიანი ნაგებობაგან შედგებოდა... ორტელიუსის შავი ზღვის რუკაზე თითქმის სრულად არის წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს მდინარეთა სისტემა. ამავე რუკაზე, კოლხეთის ნაპირებთან, იქ, სადაც ფაზისის ზღვა აღნიშნული, მითიური კუნძულის „Aea“ („აია“-ს ნახვა შეიძლება, რომელსაც მედეას მამიდა, კირკე განაგებდა და ზოგიერთი წყაროს ცნობით, სწორედ კოლხეთის ნაპირებთან უნდა ყოფილიყო...“ – ვკითხულობთ ს. სალადის სტატიაში „ზღვა და საქართველო ძველ ევროპულ რუკებზე“ (სალაძე 2023: 24-33). აქვეა კარტოგრაფ აბრაჰამ ორტელიუსის (1527-1598) ფოტოც.

პინდარეს „ეპინიკებში“, ანუ შეჯიბრებებსა თუ ბრძოლებში გამარჯვებულთა სახოტბო სიმღერებში (ოდებში) ყურადღებას იპყრობს მისი მეოთხე პითიური ოდა, რომელშიც პოეტი გვაწვდის ქართველ ტომთა დასავლური გაერთიანების მეტად საინტერესო ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ დეტალებს; ცნობილია ისიც, თუ რომელ ენებზე მეტყველებდნენ მაშინდელ შავიზღვისპირეთში.

იმდროინდელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სხვადასხვა წარმოშობის ენა იყო გავრცელებული. მათგან ზოგი ინდოევროპულია, მაგალითად, ბერძნული (პონტოური დიალექტის სახით), ზოგი კი კავკასიის მიწა-წყლის მკვიდრია. მეცნიერები ამ უკანასკნელთ კავკასიურ ენებს უწოდებენ, სხვადასხვა დროს კი მათ აღსანიშნავად ენათმეცნიერებაში იხმარებოდა ტერმინები: იაფეტური ენები, პალეოკავკასიური ენები და სხვ.

კავკასიურ ენათა წრეში გამოყოფენ ოთხ ძირითად განშტოებას:

I – სამხრეთკავკასიური ანუ **ქართველური** ჯგუფი, რომელსაც შეადგენს ქართული, ზანური და სვანური, მათგან სამწერლობო ენა მხოლოდ ქართულია. მრავალფეროვანი ლიტერატურა იქმნება V საუკუნიდან;

II – ჩრდილოდასავლურკავკასიური ანუ **აფხაზურ-ადიღური** ჯგუფი, სადაც ერთიანდება აფხაზური, აბაზური,

ადიდური, ყაზარდოული და უბიხური ენები. მათ შორის ყველა სალიტერატურო ენაა, გარდა უბიხურისა²;

III – ჩრდილოცენტრალურკავკასიური ანუ **ნახური** ჯგუფი ჩეჩნურის, ინგუშურისა და წოვა-თუშურის მოცულობით, რომელთაგანაც ჩეჩნური და ინგუშური სამწერლობო ენებია;

IV – ჩრდილოაღმოსავლურკავკასიური ანუ **დაღესტნური** ჯგუფი, სადაც გამოყოფენ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ, ლაკურ-დარგულ და ლეზგიურ ქვეჯგუფებს.

ა) ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენებია: ხუნძური, ანდიური, ახვახური, ბაგვალური, ბოთლიხური, კარატაული, ჭამალური, ლოდობერიული, დიდოური, ჰინუხური, ხვარშიული, ბეჟიტურ-კაპუჭური. მათ შორის სამწერლობო ენა მხოლოდ ხუნძურია;

ბ) დაღესტნურ ენათა მეორე ქვეჯგუფს შეადგენენ ლაკური და დარგული ენები. ორივე სალიტერატუროა;

გ) ლეზგიური ენებია: ლეზგიური, ადულური, თაბასარანული, არჩიზული, წახურული, რუთულური, უდიური, ხინალლური, კრიწული, ბუდუხური. ამავე ქვეჯგუფს ეკუთვნის კავკასიის ალბანური ენაც, აღმოჩენილი სინას მთის სამონასტრო კერების ხელნაწერებში, რომლის მემკვიდრედაც ზოგი მეცნიერი უდიურს მიიჩნევს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოკავკასიური სალიტერატურო ენები XIX საუკუნეში შეიქმნა ცარისტული რუსეთის პოლიტიკური გადაწყვეტილებით. ყოველი მათგანისათვის გამოიყენება რუსული ანბანი (კირილიცა) დიაკრიტიკულ-სატრანსკრიპციო ნიშნების დახმარებით. მაშინდელი რუსეთის ენობრივი პოლიტიკა მიზნად ისახავდა ხალხთა გათიშვას და ამის გათვალისწინებით ერთ ხალხს დასაბრკოლებლად ორ სალიტერატურო ენას უქმნიდა, რაც მათ ერთიანობას ბუნდოვანს ხდიდა და განცალკევებისკენ უბიძგებდა.

ამ პოლიტიკის შედეგად დამოუკიდებელ სალიტერატურო ენებად ჩამოყალიბდა, მაგალითად,

² უბიხური ენა რუსეთის იმპერიის მიერ 1864 წელს მოწყობილ ჩერქეზთა გენოციდს ემსხვერპლა: ისტორიული სამშობლოდან ოსმალეთში გადასახლების შედეგად უბიხი ეთნოსი ანატოლიაში მოსახლე სხვა ხალხებს შეერია და დაიკარგა მათი ენაც.

ადილეური და ყაბარდოული, რომელიც ერთი ეთნოსის – ჩერქეზების კუთვნილებაა. წერითი სისტემის სხვაობა ცნობიერებით ერთმანეთს ამორებს აღმოსავლელ (ყაბარდოელები) და დასავლელ (ადილელები) ჩერქეზებს და მათერთიანობის აღქმას ურთულებს. იგივე მოხდა აფხაზური და აბაზური, ჩეჩნური და ინგუშური სალიტერატურო ენების შექმნის შემთხვევაშიც.

ბერძენ მოაზროვნეთა წარმოდგენით, კოლხებს დამწერლობა უძველეს დროშიც ჰქონიათ.

ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნის მწერლის **სარაქსი ფერგამელის** ცნობით, „ოქროს საწმისი იყო ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოც „არგო“-ს ლაშქრობა მოეწყო...“

კოლხების კულტურული დონის მაუწყებელი საინტერესო ცნობები აქვს **აპოლონიოს როდოსელს** „არგონავტიკაში“. „კოლხებს – წერს ის, შენახული აქვთ თავიანთი მამებისაგან დანაწერი კვირბები (კირბები), სადაც წყლისა და ხმელეთის ყველა საზღვარია მოგზაურთათვის ნაჩვენები. კირბები მაღალი ბომებია, რომლებიც შეიცავენ წარწერებს (ამ შემთხვევაში კარტოგრაფიული მნიშვნელობისას). მათზე გამოსახული ყოფილა გზები „ყოვლთა ზღვათა და ხმელთა“. ცნობა კირბების შესახებ მოწმობს იმას, რომ აპოლონიოს როდოსელის დროს, ძვ. წ. III-II სს-ში, კოლხებს ჰქონიათ დამწერლობა, რაც ელინისტურ სამყაროში კარგად ყოფილა ცნობილი.

პლუტარქე იმოწმებს ძვ. წ. V ს. ანტიკური კომედიის წარმომადგენელს კომედიოგრაფ **კრატინეს**, რომელსაც ცნობა ჰქონია კირბების შესახებ. მისი აზრით, კირბები ქვის ან თიხის ფირფიტებია, დაფები, რომლებზეც დრაკონის კანონები იყო აღნუსხული, ზოგიერთ მათგანზე კი სასულიერო ტექსტები ეწერა.

ძვ. წ. V-IV სს. ბერძენი ორატორი **კლავდიუს ლისია** კირბებს სასულიერო წარწერების შემცველ ძეგლებად მიიჩნევს.

კომედიოგრაფ **არისტოფანეს** მიხედვით, კირბებზე კანონები ეწერა. იგი კირბებს კანონების გამოსახვის ფუნქციას ანიჭებდა.

კოლხი ფილოსოფოსი, ანატოლიური წარმოშობის ლეგენდარული ბერძენი მოღვაწე **მარსიასი** მოგვითხრობს, რომ კოლხიდის გზების ნაპირად აღმართული იყო ქვის ბომბები, რომლებზეც მგზავრთათვის წარწერილი იყო, თუ საით რომელი გზა მიდიოდა და სად რომელი თავშესაფარი იყო მათთვის.

IV საუკუნის ისტორიკოსის, **თეოპომნე ქიოსელის** თხზულებაში „ღვთისმოშიშობისათვის“ ნათქვამია, რომ „კირები წმინდა წარწერათა ასლებია“.

ცნობილი გერმანელი გეოგრაფი **კარლ რიტერი** ამბობს: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივ-დიდება სრულიადაც არ ეკუთვნით ბერძნებს. მას ბევრად უფრო ადრე ხმარობდნენ კოლხეთის მოგზაური ვაჭრები“.

X ს. ლექსიკოგრაფი **სეიდა** გადმოგვცემს, რომ „კირები“ სამწახნაგა დაფებია, ქვის სვეტებზე მიკრული, რომლებზეც სასულიერო და საერო კანონები იწერებოდა...”

...და კოლხი მედეა ბერძნულ მწერლობაში, ვის შესახებაც ვკითხულობთ: „მედეას სახე ბერძნულ ლიტერატურაში უკავშირდება ბერძენთა რწმენა-წარმოდგენებს „ბარბაროსი“ (ასე უწოდებდნენ ბერძნები ყველა არაბერძენს) ქალის შესახებ. ძველ ბერძენთა წარმოდგენით, „ელინი“ ყოველივე სიკეთის განსახიერებაა, „ბარბაროსი“ კი – ყოველგვარი ბოროტებისა. ჩვენამდე შემონახულ ნაწარმოებთაგან ეს მკვეთრი დაპირისპირება ჩანს ევრიპიდეს ტრაგედიაში „მედეა“, სადაც ავტორი მისი მისამართით იასონს ათქმევინებს: „ო, სამაგელო, ო, უსაზიზღრესო დედაკაცო, სიკვდილი შენ! მე ახლა მივხვდი – მაშინ უგუნური ვიყავ, რომ შენი სახით ბარბაროსული სახლიდან და ქვეყნიდან ელინურ სახლში დიდი ბოროტება მოვიყვანე...“

აღსანიშნავია, რომ ბერძნულ ლიტერატურაში ასე ფართოდ ასახული ამბავი მედეას მიერ თითქოს საკუთარი შვილების დახოცვისა უძველეს ლიტერატურულ ძეგლებში არ გვხვდება. მაგალითად, პოემაში „ევქალიის აღება“, რომლის ავტორადაც მეცნიერთა უმრავლესობა ძვ. წ. VIII-VII სს. მწერალ **კრეოფილე სამოსელს** მიიჩნევს, ნათქვამია: „კორინთოში მედეამ ქალაქის მაშინდელი გამგებელი კრეონტი საწამლავით მოკლა, მაგრამ რაკი მისი მეგობრებისა

და ნათესავების შეეშინდა, ათენში გაიქცა, ვაჟები კი, ვინაიდან ბაღლები იყვნენ და გაყოლა ვერ შეძლეს, აკრეალი ჰერას საკურთხეველთან გაგზავნა იმ ვარაუდით, რომ მამა მათ ხსნაზე იზრუნებდა, მაგრამ კრეონტის შინაურებმა ისინი დახოცეს და ხმა გაავრცელეს, რომ მედეამ არამხოლოდ კრეონტი, არამედ საკუთარი შვილებიც დახოცა“ (ურუშაძე 1940: 185).

მედეას მიერ შვილების დახოცვის ამბავი პირველად ევრიპიდესთანაა წარმოდგენილი, ძვ. წ. III ს. ბერძენი კომენტატორი **პარმენიკე** კი ირწმუნება: „ფილოსოფოსებში მეტად გავრცელებულია ერთი ამბავი: ევრიპიდემ თითქოს 5 ტალანტი აიღო და ბავშვების დაკვლა მედეას გადააბრალა, მედეას ბავშვები კი მოკლეს კორინთელებმა, რომლებიც აღშფოთდნენ იმით, რომ მედეას მეფობა უნდოდა, ვინაიდან კორინთო მისი მამის ხვედრი იყო...“. ამ ვერსიას სხვა ავტორებიც იხსენიებენ, ასე რომ, ბერძნულ კლასიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილი ამბავი მედეას შესახებ (ელევსის დაღუპვა, იასონის მეორე მეუღლის, კორინთოს მეფის ასულის, ლავკეს ცოცხლად დაწვა, საკუთარი შვილების დახოცვა და სხვ.) გვიანდელი შენათხზია და მას არავითარი კავშირი არგონავტიკის ძირითად და უძველეს ვერსიასთან არ აქვს“, – ვკითხულობთ აკად. ო. ლორთქიფანიძის ნაშრომში „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“ (ლორთქიფანიძე 1986: 120-121).

დამოწმებული ლიტერატურა

ლორთქიფანიძე 1986 – ლორთქიფანიძე ო., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბილისი, 1986.

სალაძე 2023 – სალაძე ს., ზღვა და საქართველო ძველ ევროპულ რუკებზე. ჟურნალი „ჩემი სამყარო“, თბილისი, 2023, №40, გვ. 24-33.

ურუშაძე 1940 – ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი, თბილისი, 1940.

Nana Pirtskhalava

**FROM THE HISTORY
OF THE ANCIENT POPULATION
OF THE EASTERN BLACK SEA COAST**

Summary

Basing on the data of linguo-culturological and archaeological studies the present thesis presents a review of encyclopedic information about the indigenous peoples of the Eastern Black Sea Coast. Ethnos and ethnonyms denoting them attested in ancient historical sources are presented, taking into account the geographical area, as well as the main historical achievements, which reflect their traces in the everyday life of the region.

The paper also presents the relation of languages attested in ancient sources to modern Caucasian languages, which is one of the main research subjects of Caucasian studies.

The current problem of ancient literature of the interdependence of myth and reality according to Euripides' "Medea" is analyzed, which is based on the achievements of Greek literary studies.

შორენა ცაბაძე

**იდიომატიკისა და მათი
პირდაპირი მნიშვნელობების
იდანტიფიცირება, თარგმნა და
ხელოვნური ინტელექტი**


მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობების სწრაფად განვითარებამ გამოიწვია თარგმნის საჭიროების ზრდა, პოპულარობა და განვითარება. ინფორმაციის სწრაფად დასამუშავებლად ადამიანთა უმეტესი ნაწილი იყენებს ინტელექტუალურ მთარგმნელობით სისტემებს. მანქანური თარგმანი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეხმარება მომხმარებელს ტექსტის ძირითადი იდეის გაგებაში.

ფრაზეოლოგიზმების თარგმნის პრობლემათა სიმრავლე ცალსახად გამოიკვეთა მათ მანქანურ თარგმანზე დაკვირვებისას. ტექსტში ჩართულ თუ ცალკე დგომქართულ ფრაზეოლოგიზმთა სხვადასხვა ენაზე, ჩვენს შემთხვევაში რუსულზე, მაქსიმალური სიზუსტით თარგმნისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიზმთა კორპუსის შექმნა, რომელშიც გასათვალისწინებელია ამგვარ შესიტყვებათა პოლისემანტიკურობა და მათი დიდი ნაწილის გამოყენება წინადადებაში პირდაპირ და გადატანით. სამისოდ უნდა აღიწეროს ყოველი ფრაზეოლოგიზმის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობები, რათა მოხდეს მათი ზუსტად იდენტიფიცირება მანქანური თარგმნის პროცესში. ამ პროცესის მართვა და პრობლემის მოგვარება სრულიად შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

ხელოვნური ინტელექტი (AI) გულისხმობს ალგორითმებისა და მოდელების შემუშავებას, რომლებიც მანქანას საშუალებას აძლევს, ზუსტად აღიქვას თავისი გარემო და განახორციელოს შესაბამისი ქმედებები კონკრეტული მიზნების მისაღწევად. სწავლისთვის მას სჭირდება ათასობით მაგალითი, რის შემდეგაც სპეციალური ალგორითმით დაახარისხებს ინფორმაციას.

ხელოვნური ინტელექტი არ არის ერთი ალგორითმის სახელი; ეს არის ალგორითმების ჯგუფი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის პრობლემის გადასაჭრელად. ალგორითმები, რომლებიც იყენებენ სასწავლო მიდგომებს, არის მხოლოდ ერთი ქვეჯგუფი მათი მთლიანი ნაკრებიდან, რომელსაც ჩვეულებრივ ხელოვნურ ინტელექტს უწოდებენ.

მანქანის სწავლება არის პროცესი, რომლის დროსაც ალგორითმი „სწავლობს“ პრობლემის გადაჭრას. მანქანას ღრმად შესწავლისთვის ფრაზეოლოგიზმების განმარტებისა და შემადგენელი სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით ამოცნობისა და თარგმნისთვის სჭირდება დიდი რაოდენობით წინადადებებისა და ტექსტების ნაკრები, რომლებშიც სამიზნე ფრაზა გამოყენებული იქნება ყველა მნიშვნელობით, რათა შეძლოს მისი დამახსოვრება და დასწავლის შემდგომ –დახარისხება (მიტჩელი 1991: 157).



ამ პროცესში წამყვანია ნეიროლინგვისტური პროგრამირების (NLP-ს¹) არქიტექტურა, რომელიც მიზნად ისახავს გადაჭრას მიმდევრობითი ამოცანები განმეორებადი ნეირონული ქსელების (RNN²) გამოყენებით. ეს არის „ღრმა სწავლის“ ალგორითმების ნაკრები, ბევრად უფრო რთულია და ხშირად იყენებენ უფრო დახვეწილ მათემატიკურ მოდელებს.

ნეირონული ქსელი არის შრეთა თანმიმდევრობა, რომელთაგან თითოეული, თავის მხრივ, შედგება ცალკეული ნეირონისგან და თითოეული ასრულებს თავის როლს. არსებობს ნეირონები (ან ნეირონების სტრუქტურები), რომლებიც სწავლობენ მიწოდებულ ფრაზებში მნიშვნელოვანი ნიუანსების გამოკვეთას. არის ისეთებიც, რომლებიც სწავლობენ დასკვნების გამოტანას შერჩეული მაგალითების საფუძველზე. ნეირონები გაერთიანებულია ჯგუფებად (ფენებად) და ისინი გადაიქცევა ერთ ხელოვნურ ნეირონულ ქსელად (მიტჩელი 1991: 3).

ალგორითმის შესწავლის პროცესი მრავალი თვალსაზრისით ჰგავს ადამიანის სწავლის პროცესს. ისევე, როგორც ჩვენ ვუშვებთ შეცდომებს და ვსწავლობთ შეცდომებისგან, ალგორითმებისთვისაც დასწავლის პროცესში დაშვებული შეცდომები საუკეთესო გამოცდილებაა. აზროვნების პროცესი პირდაპირ კავშირშია ცნობიერების არსებობასთან. ნეირონული ქსელი ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ალგორითმი, არსებითად მხოლოდ მათემატიკური ფუნქციაა და შეუძლია მხოლოდ ერთი კონკრეტული პრობლემის გადაჭრა. თუ მას ფრაზეოლოგიზმთა თარგმნას ვასწავლით, ის ვერ შეძლებს მათი პირდაპირი მნიშვნელობის თარგმნას. თუ მისთვის არ უსწავლებიათ, რომ ხელები დაიბანა, გარდა ფრაზეოლოგიზმისა, სხვა მნიშვნელობითაც არსებობს. აქ

¹ Natural Language Processing (NLP) – ბუნებრივი ენის დამუშავება, არის ხელოვნური ინტელექტის (AI) ფილიალი, რომელიც კომპიუტერს საშუალებას აძლევს გაიგოს, გამოიმუშაოს და გადაამუშაოს ადამიანის ენაზე.

² Recurrent neural networks – განმეორებადი ნეირონული ქსელები, რომლებითაც სწავლობს მანქანა.

შესაძლოა მანქანამ გამოიყენოს მისთვის კარგად ცნობილი მოდელი, რომელსაც ტექსტის თარგმნის დროს იყენებს, მაგრამ იმისათვის, რომ ზოგადი თარგმნის სტრუქტურით არ თარგმნოს ფრაზეოლოგიზმებიც, საჭიროა მან ერთად დაისწავლოს ფრაზის ყველა მნიშვნელობა.

ნეირონული ქსელების სისუსტე არის ის, რომ ის ერთხელ გამოყენებულ მაგალითს ვერ სწავლობს და, შესაბამისად, ტექსტში მისი ამოცნობაც არ შეუძლია. ის ემორჩილება გამოყენების ციფრულ კანონს – რაც მეტ ინფორმაციას მივაწვდით მანქანას, მით უფრო კარგად ისწავლის ის.

ხელოვნურ ინტელექტს უნდა მივაწოდოთ დასასწავლად წინადადებები, ტექსტები, რომლებშიც, მაგალითად, იქნება გამოყენებული ხელების დაბანა, როგორც იდიომა, ასევე უნდა შევქმნათ წინადადებათა გარკვეული „საცავი“, რომლებშიც ხელების დაბანის მნიშვნელობა მოცემული იქნება პირდაპირ, გადატანის გარეშე როგორც ქართულ, ასევე სხვა ენაზე.

მაგალითად:

ქართული იდიომა	русская идиома	პირდაპირი მნიშვნელობა	В прямом смысле
1. მე ამ საქმეში ხელები დამიბანია	1. в этом деле я умываю руки	1.სასწრაფოდ დაიბანე ხელები!	1. Немедленно вымой руки!
2. ხელები დამიბანია – იდიომა	2. умыть руки – это идиома	2. ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით	2. Чаще мойте руки с мылом и водой
3. ხელების დაბანა – როგორც იდიომა, ბიბლიური წარმოშობისაა	3. Умыть руки – это идиома,и она имеет библейское происхождение.	3. რატომ დაიბანა ხელები პილატემ?	3. Почему Пилат помыл руки?
4. ეს საქმე თვითონვე მოაგვარეთ, მე ხელები დამიბანია	4. С этим делом разбирайтесь сами, а я умываю руки	4. პილატემ დაიბანა ხელები ხალხის წინაშე, იესო გადასცა მათ დასასჯელად	4. Пилат ☐ мыл руки перед толпой и предал им Иисуса для казни.

ეს პროცესი მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და ჩართულობას, მაგრამ მანქანა შეძლებს ხელოვნური ინტელექტის საშუალებით მათ დასწავლას და სპეციალურად შექმნილი „გარჩევის ალგორითმით“ გამოარჩევს ერთმანეთისაგან.

ჩვენი მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ მარტივი ექსპერიმენტით გამოვცადეთ მოცემული სქემის ავტენტურობა და „ზოტის“ სისტემაში შევადგინეთ მარტივი, ეგრეთ წოდებული, კითხვა-პასუხის მოდელი. შესული ინფორმაცია აღიქმება შეკითხვად და „ზოტმა“ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით უნდა იწავლოს როგორც შემავალი, ასევე გამომავალი ინფორმაცია და მოგვაწოდოს სწორი პასუხი.

პროგრამაში დარეგისტრირების შემდეგ ავირჩიეთ საცდელი (სატესტო) „ზოტის“ მოდელი, შევუღრიეთ მას სათაური და შევქმენით ინტერაქტიულ წიგნებში ჩვენთვის სასურველი სახელწოდებით. მისი შექმნის შემდეგ უკვე შესაძლებელია შექმნა „ზოტის ტვინი“. მენიუში მას აქვს სტატისტიკა: ზოტის წერტილები, მომხმარებლის წერტილები, პირდაპირი, ფუძე, კავშირი და დიალოგები.

ინფორმაციის შეტანამდე პირველი შეკითხვის, **„მე ამ საქმეში ხელები დამიზანია“**, დასმის შემდეგ ის გვპასუხობს, პასუხი ვერ მოიძებნა, რადგან მას ჯერ არ უსწავლია არც ჩვენგან მიწოდებული ფრაზა და არც ის ფრაზა, რომლითაც უნდა გვიპასუხოს. რედაქტირების ველის არჩევის შემდეგ ვსვამთ მომხმარებლის წერტილს ზოტის ტვინის სივრცეში და ვამატებთ პირველ ვარიანტს: **„მე ამ საქმეში ხელები დამიზანია“**, ვირჩევთ ტიპს „პირდაპირი“ და ზოტის ტვინის სივრცეში ჩნდება წერტილი ჩვენგან მიწოდებული ფრაზითა თუ წინადადებით. იმისათვის, რომ „ზოტმა“ მოგვაწოდოს მისი რუსული თარგმანი, მას უნდა ვასწავლოთ რუსულად მისი რუსული მნიშვნელობა. ახალ წერტილს ვირჩევთ ზოტის ტვინში, რომელსაც უნდა მივანიჭოთ ზოტის პასუხის ფუნქცია შესაბამისი ველიდან, ზოტის კითხვა-პასუხის არჩევის შემდეგ ვთავაზობთ პასუხის ვერსიას: **„в этом деле я умыаю руки“**. შემაჯავლი და გამომავალი ინფორმაციის დასაკავშირებლად უკვე მის ტვინში არსებულ ორ ინფორმაციას, ორ წერტილს, კავშირის შექმნის ველიდან

არჩეული ისრით ვაკავშირებთ. რის შემდეგაც პროგრამა სვამს შეკითხვას, კავშირი იყოს თუ არა პირდაპირი. თუ მოვნიშნავთ პირდაპირს და შემდეგ ვთხოვთ მას გვითარგმნოს „მე ამ საქმეში ხელები დამიზანია“, მოგვაწოდებს რუსულ თარგმანს „в этом деле я умыаю руки“. ბოტის მეხსიერებაში გროვდება ინფორმაცია შემდეგი სახით:

ქართული ფრაზა: ხელები დამიზანია ინფორმაცია: დამიზანია	რუსული ფრაზა: Я умыаю руки ინფორმაცია: დამიზანია	გამგებლობა: დამიზანია
ქართული ფრაზა: ხელები დამიზანია ინფორმაცია: დამიზანია	რუსული ფრაზა: Я умыаю руки с мылом и водой ინფორმაცია: დამიზანია	გამგებლობა: დამიზანია
ქართული ფრაზა: ხელები დამიზანია ინფორმაცია: დამიზანია	რუსული ფრაზა: Я умыаю руки ინფორმაცია: დამიზანია	გამგებლობა: დამიზანია
ქართული ფრაზა: ხელები დამიზანია ინფორმაცია: დამიზანია	რუსული ფრაზა: Я умыаю руки с мылом и водой ინფორმაცია: დამიზანია	გამგებლობა: დამიზანია

ქართული ფრაზა: ხელები დამიზანია ინფორმაცია: დამიზანია	რუსული ფრაза: Я умыаю руки с этим делом развираться ინფორმაცია: დამიზანია	გამგებლობა: დამიზანია
ქართული ფრაზა: ხელები დამიზანია ინფორმაცია: დამიზანია	რუსული ფრაза: Я умыаю руки ინფორმაცია: დამიზანია	გამგებლობა: დამიზანია
ქართული ფრაზა: ხელები დამიზანია ინფორმაცია: დამიზანია	რუსული ფრაза: Я умыаю руки, это идея, и она имеет значение ინფორმაცია: დამიზანია	გამგებლობა: დამიზანია
ქართული ფრაზა: ხელები დამიზანია ინფორმაცია: დამიზანია	რუსული ფრაза: Я умыаю руки, это идея. ინფორმაცია: დამიზანია	გამგებლობა: დამიზანია

ინფორმაციის მიღების შემდეგ სწავლობს მათ.





თუ ნასწავლ ქართულ წინადადებას მცირედით შევცვლით, მაგალითად „**ხელები დამიბანია მე ამ საქმეში**“ და ვთხოვთ გვითარგმნოს, ვერ შეძლებს მის თარგმნას, რადგან ჩვენგან მიწოდებულ წინადადებას მივანიჭეთ ტიპი „პირდაპირი“, რაც გულისხმობს, რომ კონკრეტულად ისეთი ფორმის თარგმანზე უნდა ვთხოვოთ მას პასუხი, როგორიც მივაწოდეთ. თუმცა შესაძლებელია მცირედი ცვლილებითაც შეთავაზებულ შემავალ ფრაზაზეც მოგვაწოდოს მან მის მიერ ნასწავლი რუსული თარგმანი, ასეთი ინტერაქციისთვის ვირჩევთ ახალ წერტილს ბოტის ტვინში და შესაბამის ფანჯარაში ვწერთ წინადადებას სხვადასხვა ვარიაციით: მე ხელები დამიბანია ამ საქმეში, ამ საქმეში მე ხელები დამიბანია, ხელები დამიბანია ამ საქმეში. ისინი მძიმით უნდა გამოიყოს და მოვნიშნავთ, როგორც „ფუძე სიტყვებს“ და დავაკავშირებთ რუსული თარგმანის წერტილთან. მძიმეებით გამოყოფილი წინადადებებიდან ერთ-ერთს თუ შევთავაზებთ მას, თითოეულზე მოგვაწოდებს ფრაზის რუსულ თარგმანს.

ფრაზეოლოგიზმთა დასწავლისა და შემდგომ მათი თარგმნით ლექსიკონში სწორად გამოყენებისთვის საჭიროა დიდი რაოდენობით მასალა ტექსტების სახით, რომლებშიც გამოყებულია სამიზნე ფრაზეოლოგიზმები, როგორც მათი იდიომატური, ისე პირდაპირი მნიშვნელობით. ლექსიკონის შედგენის პროცესში ტექსტები დაეხმარება მანქანას ამ ვარიაციების დასწავლაში (ვრცლად იხ: <https://iel.iliauni.edu>).

ge/chatbot.html?3844&fbclid=IwAR2nji6qRlGh7U4JEgKA2PaQ3Zpu1GcsmyJUv9ZtoSjOPRtmxr_Nu2Tc5CY).

იდიომათა სიზუსტით თარგმნის პროცესს მნიშვნელოვნად გაამარტივებს ქართულ-რუსული Treebank-ის აგება.

ამ საკითხზე თავისი მოსაზრებები აქვს მკვლევარე ოლეგ კაპანაძეს. ის აღნიშნავს, რომ ხეების ბანკი / Treebank საჭირო რესურსია ლინგვისტური კვლევისათვის. თარგმნის პროცესის დახვეწისათვის მნიშვნელოვანია პარალელური Treebank-ის³ აგება, რომელიც ითვალისწინებს ენობრივი ინფორმაციის გასწორებას, წარმოდგენილი სხვადასხვა სტრუქტურით ორენოვანი ტექსტის სხვადასხვა დონეზე. მკვლევარი განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენების პარალელურ ტექსტებში – გერმანულისა და ქართულის მაგალითზე, აღწერს Treebank-ის აგების პროცესს თარგმანის ეკვივალენტების განსაზღვრისათვის, მან აირჩია ენები, რომლებიც მიეკუთვნება სხვადასხვა ენობრივ ოჯახებს და შედეგად სარგებლობენ განსხვავებული ტიპოლოგიური მახასიათებლებით, რომლებიც გამოიხატება მრავალფეროვანი მორფოლოგიური სტრუქტურით, სიტყვებისა და ფრაზების განსხვავებული თანმიმდევრობით. აღნიშნავს, რომ ორენოვანი გერმანულ-ქართული Treebank-ის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში მცდელობა ჰქონდა სინტაქსური სტრუქტურების დაჯგუფებისა და ფრაზების ჩვეულებრივი თარგმანების კლასიფიკაციათა განსაზღვრისა, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ეკვივალენტურ ერთეულებად ორენოვანი ტექსტის გასწორების საკითხში (კაპანაძე 2016: 85-100).

GRUG პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევიდან მეცნიერი გამოყოფს გერმანულ-ქართული, გერმანულ-რუსული, გერმანულ-უკრაინული და ქართულ-უკრაინული პარალელური ხეების აგების პროცესის კვლევას. ოლეგ

³ Treebank – სინტაქსური ხეების ბანკი (განშტოებული დიაგრამების ფორმით). წარმოადგენს სინტაქსურად და სემანტიკურად ანოტირებულ ტექსტს, რომელიც დანაწევრებულია მოცემული ენის სინტაქსის ფორმალური წესების (Parsing) mixedviT. cneba parsed corpus ხშირად გამოიყენება ცნების Treebank სინონიმად (თანდამვილი, ფურცხვანიძე, 2014: 69].

კაპანაძე აღნიშნავს, რომ ხეების ბანკების შესახებ ლიტერატურიდან მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ენებისთვის დიდი ხეების ბანკების შექმნას შედარებით მარტივი მორფოლოგიითა და ფიქსირებული სიტყვების თანმიმდევრობით. ეს ლიტერატურა მნიშვნელოვნად დაეხმარება ფრაზეოლოგიზმთა თარგმანის დახვეწას.

კვლევაში გათვალისწინებულია ისიც, რომ ქართული სიტყვები ზოგჯერ შეიძლება უტოლდებოდეს მრავალსიტყვიან უცხოურ ფრაზებს და, პირიქით, რაც გარკვეულ პრობლემას წარმოქმნის, რადგან ფრაზები უფრო იშვიათად გვხვდება კორპუსებში, ამიტომ შესაძლოა, მსგავსა მოდელებმა მოითხოვოს უფრო დიდი კორპუსი, რათა ისწავლოს მანქანამ გარკვეული ქართული სიტყვის და, შესაბამისად, ფრაზის ზუსტად თარგმნა.

მეცნიერი აღნიშნავს, რომ „მომავალი პარალელური ხეების ბანკი ასევე შეიძლება გაფართოვდეს ისეთი მონაცემის გამოყენებით, როგორიცაა ვალენტურობის ჩარჩოები, ანაფორული რეზოლუციები და სემანტიკური ველები, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება უზრუნველყოს საჭირო მინიშნებები პარალელური ხე-ბანკის გასაუმჯობესებლად“ (კაპანაძე 2020: 18).

ცალკეულ სიტყვათა სინტაქსური თუ მორფოლოგიური ანალიზი პარალელურ კორპუსებში მნიშვნელოვანია თარგმნის პროცესის გაუმჯობესებისათვის, თუმცა არასაკმარისია ფრაზეოლოგიზმთა ზუსტი თარგმანისათვის.

მკვლევარი ირინა ლობჟანიძე თავის კვლევაში აღნიშნავს, რომ „ნებისმიერი ორენოვანი ლექსიკონის შექმნას სჭირდება სამი ძირითადი ეტაპის გავლა, როგორიცაა: მონაცემთა ბაზის შექმნა, მოძიებული ერთეულების თარგმნა და შექმნილი ფორმების საბოლოო შეჯერება. თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში ზემოხსენებული ეტაპების საფუძველს წარმოადგენს კორპუსი“ (ლობჟანიძე 2012: 272).

მკვლევარს ნაშრომში წარმოდგენილი აქვს შ.აფრიდონიძის თვალსაზრისი სტატიიდან „იდიომი და იდიომურობა“, რომელშიც გვხვდება იდიომის შემდეგი განსაზღვრება: „იდიომი არის სემანტიკურად დაუშლელი და გრამატიკულად შეზღუდული გამოთქმა, რომელიც

შეიცავს ერთ აღმნიშვნელ სიტყვას მაინც და ამა თუ იმ ტერმინის სინონიმად იხმარება“ (ლობჯანიძე 2012: 19).

მოსაზრება ხაზს უსვამს იდიომატური გამოთქმის, როგორც ერთი მთლიანობის, თარგმნის აუცილებლობას და არა ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებად დაშლასა და შესწავლას.

გამოყენებული ლიტერატურა

ლობჯანიძე 2012 – ლობჯანიძე ი., იდიომების სტრუქტურა და სემანტიკა ქართულში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი (ინგლისური, ახალი ბერძნული და რუსული ენების მასალის საფუძველზე). სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2012.

მიტჩელი 1991 – მიტჩელი ტ., მანქანათმცოდნეობა. მაკგრო ჰილი, 1991.

Kapanadze 2016 – Kapanadze. O., Parallel TreeBanks: Observations for Implication of Equivalent Alignments. International Journal of Computational Linguistics and Applications. 09/02/2016, ISSN 0976-0962, <http://ijcla.bahripublications.com>.

Kapanadze 2020 – Kapanadze. O., Building Resources for Georgian Treebanking-based NLP. <https://www.researchgate.net/publication/341821701> June 2020.

Shorena Tsabadze

**IDENTIFICATION OF IDIOMS AND
THEIR DIRECT MEANINGS, TRANSLATION,
AND ARTIFICIAL INTELLIGENCE**

Summary

The rapid development of international relations has led to the growth, popularity, and development of the need for translation. Most individuals swiftly process information by using sophisticated translation technologies. Although machine translation is still not flawless, it does help the user to understand the main idea of the text.

At the forefront of machine translation is artificial intelligence (AI), which involves the development of algorithms and models that allow a machine to accurately perceive its environment and take appropriate actions to achieve specific goals. It requires thousands of examples to learn from, following which it arranges the data using a particular algorithm.

At this stage, the machine is capable of picking up a lot of knowledge and classifying the text into several grammatical categories. However, this is insufficient for translating complex phraseological idioms or locutions, and it is visible during the translation process. The article discusses examples and their translation scheme, for correct translation it will help the machine to create large “banks of trees” with relatively simple morphology and fixed word order. This literature will greatly contribute to enhancing the translation of phraseological expressions, however, it falls short in achieving precise translations of such expressions, as it is crucial to translate them as whole complete units, rather than breaking them down and studying as certain lexical units.

ავტორთა მონაცემები

იმარი ბასილაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, განათლების დოქტორი

დავით იობიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფილოლოგიის დოქტორი

ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

მერაბ ურუშაძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის
ხმის რეჟისურის მიმართულების ხელმძღვანელი,
პროფესორი.

ნანა ფირცხალავა

ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის
მკვლევარი.

შორენა ტაბაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

CONTRIBUTORS

IMERI BASILADZE

Akaki Tsereteli State University, Professor,
Doctor of Education.

DAVID IOBIDZE

Akaki Tsereteli State University, Doctor of Philology.

NORA NIKOLADZE=LOMSIANIDZE

Akaki Tsereteli State University, Associate Professor,
Doctor of Philology.

MERAB URUSHADZE

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University,
Film and TV Faculty, sound director, Professor.

NANA PIRTSKHALAVA

Researcher of the Circassian (Adyghe) Culture Center.

SHORENA TSABADZE

Sokhumi State University, PhD student.

ს ა რ ჩ ე ვ ი

იმარი ბასილაძე – სწავლების ორგანიზაცია და მეთოდოლოგია იეზუიტთა ორდენის საგანმანათლებლო დაწესებულებებში	3
დავით იოზიძე – მწკრივთა (ნაკვეთთა) ურთიერთმიმართება კათოლიკე ეპისკოპოსთა ძველბერძნულ და ქართულ ვერსიებში (ნაწილი პირველი)	19
ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე – მეფე ერეკლე ქართული ხალხური სიტყვიერების მიხედვით	34
მერაბ ურუშაძე – „ლილის ტალღა“	44
ნანა ფირცხალავა – მასალები აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან	53
შორენა ცაბაძე – იდიომებისა და მათი პირდაპირი მნიშვნელობების იდენტიფიცირება, თარგმნა და ხელოვნური ინტელექტი	65
ავტორთა მონაცემები	76

CONTENTS

IMERI BASILADZE - Teaching Organization and Methodology of the Jesuit Order in Educational Institutions	18
DAVID IOBIDZE - Interrelation of verb forms of Catholic epistles In ancient Greek and Georgian versions (part one)	33
NORA NIKOLADZE-LOMSIANIDZE - King Erekle according Georgian folklore”	43
MERAB URUSHADZE - Lilly Waves	52
NANA PIRTSKHALAVA - From the history of the ancient populuation of the Eastern Black Sea Coast	64
SHORENA TSABADZE - Identification of Idioms and Their Direct Meanings, Translation, and Artificial Intelligence	75
CONTRIBUTORS	77

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ნაშრომის ელექტრონული ვერსია
წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:
gelatisakademia1@gmail.com

დამაკაბადონებელი
შორენა ხუნდაძე

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა, №59.
ტელ.: რედაქტორის: 577 28-28-61;
პასუხისმგებელი მდივნის: 598 10-14-72.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა